140
1982

ISSN 0182 — 5973

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ЗНАК ПОЧЕТА

# პიონერი

11
1982

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

# მიმართვა კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს



ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი
(1906—1982)

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა მძიმე დანაკლისი განიცადეს. გარდაიცვალა ლენინის დიადი საქმის ერთგული განმგრძობი, მგზნებარე პატრიოტი, გამოჩენილი რევოლუციონერი და მშვიდობისათვის, კომუნიზმისათვის მებრძოლი, თანამედროვეობის უთვალსაჩინოესი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

ლ. ი. ბრეჟნევის მთელი მრავალმხრივი მოღვაწეობა, პირადი ბედი განუყოფელია საბჭოეთის ისტორიის უმნიშვნელოვანესი ეტაპებისაგან. კოლექტივიზაცია და ინდუსტრიალიზაცია, დიდი სამამულო ომი და ომისშემდგომი აღორძინება, ყამირის ათვისება და კოსმოსის კვლევის ორგანიზაცია — ყოველივე ეს მუშათა კლასის სახელოვანი შვილის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ბიოგრაფიის ნიშანსვეტებია. ყველგან, სადაც უნდა გაეგზავნა იგი პარტიას, ლეონიდ ილიას ძე თავდადებით, მისთვის ჩვეული ენერგიითა და სიმტკიცით, გაბედულებითა და პრინციპულობით იბრძოდა მისი დიადი იდეალებისათვის.

ამხანაგ ბრეჟნევის სახელს, მის დაუცხრომელ მუშაობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტებზე საბჭოთა ადამიანები, ჩვენი მეგობრები მთელ მსოფლიოში სამართლიანად უკავშირებენ პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების ლენინური ნორმების თანამიმდევრულ დამკვიდრებას, სოციალისტური დემოკრატიის სრულყოფას. იგი ბრძნულად წარმართავდა პარტიის ლენინური შტაბის — მისი ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს საქმიანობას, გვიჩვენებდა ერთსულოვანი კოლექტიური მუშაობის უნარიანი ორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საინფორმაციო ცნობა

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1982 წლის 12 ნოემბერს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმი.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დავალებით პლენუმი გახსნა და სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ცენტრალური კომიტეტის პლენუმის წევრებმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ხსოვნას პატივი სცეს წუთიერი მწუხარე დუმილით.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა აღნიშნა, რომ კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა ხალხმა, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ მძიმე დანაკლისი განიცადეს. გარდაიცვალა კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური, მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, მშვიდობისათვის მგზნებარე მებრძოლი.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა, რომელიც ლენინური კომუნისტური პარტიის წევრი იყო 50 წელზე მეტ ხანს, აქედან 18 წელს — მისი ხელმძღვანელის პოსტზე, უდიდესი წვლილი შეიტანა პარტიის რიგების მონოლითურობის, საბჭოთა კავშირის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებაში. უაღრესად დიდია მისი როლი მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებაში. ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სახელი, რომელთანაც უშუალოდ არის დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის ცხოვრების დიადი მიღწევები, — ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, საბჭოთა ხალხის ისტორიული გამარჯვება დიდ სამამულო ომში, ჩვენი სამშობლოს სახალხო მეურნეობის ომისშემდგომი აღდგენა, კოსმოსის კვლევა, ყველა წარმატება საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, სამუდამოდ შევიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, ჩვენი დიადი სამშობლოს ისტორიაში.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მონაწილეებმა ღრმა თანაგრძნობა გამოუცხადეს განსვენებულის ნათესავებსა და ახლობლებს.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის არჩევის საკითხი.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დავალებით სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა კ. უ. ჩერნენკომ. მან წამოაყენა წინადადება, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად აირჩიონ ამხანაგი ი. ვ. ანდროპოვი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად პლენუმმა ერთხმად აირჩია ამხანაგი იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი.

შემდეგ პლენუმზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ი. ვ. ანდროპოვი. მან გულითადი მადლობა მოახსენა ცენტრალური კომიტეტის პლენუმს დიდი ნდობისათვის — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პოსტზე არჩევისათვის.

ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა აღუთქვა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, კომუნისტურ პარტიას, რომ მთელ თავის ძალ-ღონეს, ცოდნასა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას მოახმარს სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებით დასახული კომუნისტური მშენებლობის პროგრამის წარმატებით შესრულებას, მემკვიდრეობითობის უზრუნველყოფას სსრ კავშირის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცების, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების, მშვიდობის დამკვიდრების ამოცანების გადაწყვეტაში, მთელი ლენინური საშინაო და საგარეო პოლიტიკის გატარებაში, რომელიც ლ. ი. ბრეჟნევის დროს ხორციელდებოდა.

ამით პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.



# იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი

**იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი** დაიბადა 1914 წლის 15 ივნისს რკინიგზელის ოჯახში სტავროპოლის მხარის სადგურ ნაგუტსკაიაში. აქვს უმაღლესი განათლება. სკკპ წევრია 1939 წლიდან.

თექვსმეტი წლის კომკავშირელი იყო, როცა ი. ვ. ანდროპოვმა მუშად დაიწყო მუშაობა ჩრდილოეთ ოსეთის ასს რესპუბლიკის ქალაქ მოზდოკში. შემდეგ მისი შრომითი ბიოგრაფია გაგრძელდა ვოლგის სანაოსნოს გემებზე, სადაც მეზღვაურად მუშაობდა.

1936 წლიდან ი. ვ. ანდროპოვი კომკავშირულ სამუშაოზეა.

იგი არჩეული იყო იაროსლავლის ოლქის ქალაქ რიბინსკის სანაოსნო ტრანსპორტის ტექნიკუმის კომკავშირული ორგანიზაციის განთავისუფლებულ მდივნად, მალე დააწინაურეს სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომორგის თანამდებობაზე ქალაქ რიბინსკის ვოლოდარსკის სახელობის გემთსაშენში. 1938 წელს იაროსლავლის ოლქის კომკავშირელებმა ი. ვ. ანდროპოვი აირჩიეს სრულიად საკავშირო ალკკ იაროსლავლის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად. 1940 წელს ი. ვ. ანდროპოვს ირჩევენ კარელიის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად.

დიდი სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე ი. ვ. ანდროპოვი კარელიაში პარტიზანული მოძრაობის აქტიური მონაწილეა. 1944 წელს, ფაშისტ დამპყრობთაგან პეტროზავოდსკის განთავისუფლების შემდეგ, ი. ვ. ანდროპოვი პარტიულ სამუშაოზეა. მას ირჩევენ პარტიის პეტროზავოდსკის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნად, 1947 წელს კი კარელიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად.

1951 წელს ი. ვ. ანდროპოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით გადაჰყავთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატში და ნიშნავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ინსპექტორად, შემდეგ კი ქვეგანყოფილების გამგედ.

1953 წელს პარტიამ ი. ვ. ანდროპოვი დიპლომატიურ სამუშაოზე გაგზავნა. რამდენიმე წელს იყო იგი სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში.

1957 წელს ი. ვ. ანდროპოვი დააწინაურეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგედ.

პარტიის XXII და მომდევნო ყრილობებზე ი. ვ. ანდროპოვს ირჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრად.

1962 წელს ი. ვ. ანდროპოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად აირჩიეს.

1967 წლის მაისში ი. ვ. ანდროპოვი ინიშნება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარედ. იმავე წლის ივნისში იგი არჩეულ იქნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად.

1982 წლის მაისში ი. ვ. ანდროპოვი აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად.

1973 წლის აპრილიდან ი. ვ. ანდროპოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრია.

იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი სსრ კავშირის მთელი რიგი მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატია.

ყველა პოსტზე, სადაც კი პარტიის ნებით იღვწოდა ი. ვ. ანდროპოვი, ვლინდებოდა მისი ერთგულება ლენინის, პარტიის დიადი საქმისადმი. იგი მთელ თავის ძალ-ღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას ახმარს პარტიის გადაწყვეტილებათა განხორციელებას, კომუნისტური იდეების გამარჯვებისათვის ბრძოლას.

სამშობლოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის ი. ვ. ანდროპოვს — კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეს — 1974 წელს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. იგი დაჯილდოებულია ოთხი ლენინის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციისა და წითელი დროშის ორდენებით, სამი შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარშრუტზე:
„პიონერები—
სამშობლოს"

## სიტყვის ერთგულება საქმით დაამტკიცე!



წლევანდელმა უამინდობამ დიდი საზრუნავი გაუჩინა მეჩაიეებს. გამრჯე გოგო-ბიჭები მხარში ამოუდგნენ უფროსებს. რევაზ კონჯარია, გოჩა გოდორაძე, ირმა ბერბაია, ელისო წულაია ყოველდღიურად 15-20 კგ ჩაის ფოთოლს კრეფდნენ.

თემურ ცაგარელი

ფოტო ავტორისა

# ნოჯიხეველი შრომისმოყვარენი

გასულმა ზამთარმა სოფლის მეურნეობას რომ დიდი ზარალი მიაყენა, ეს ყველასათვის ცნობილია, მაგრამ არც გაზაფხულისა და ზაფხულის ამინდი გამოდგა ჩვენი მიწაწყლისათვის სახარბიელო. ჯერ იყო და გაზაფხულის გაუთავებელმა წვიმებმა და სეტყვამ, მერე კი ზაფხულის პერიოდში მოვარდნილმა წყალდიდობებმა და ღვარცოფებმა მთელი რიგი რაიონების სოფლის მეურნეობას დიდი ზარალი მიაყენეს... ტაროსმა არც ხობის რაიონი დაინდო, ხშირმა და ძლიერმა წვიმებმა შეაფერხა ჩაის ვეგეტაცია, პლანტაციებში შეტანილი სასუქები ფუჭად იკარგებოდა — წყალს მიჰქონდა. იძალა სარევლებმა. კოლმეურნე გლეხების შრომამ ბარაქა ვერ მოიკიდა. და ეს მაშინ, როცა მთელ ჩვენს ქვეყანაში მთელი სიგრძე-სიგანით წამოიჭრა სასურსათო პრობლემა. პარტიისა და მთავრობის მოწოდების პასუხად მშრომელი მოსახლეობა სტიქიის წინააღმდეგ საბრძოლველად დაირაზმა. უფროსებს, როგორც ყოველთვის, ახლაც მხარში ამოუდგა ახალგაზრდობა — კომკავშირელები და პიონერები. ასე მოხდა ხობის რაიონშიც. პიონერ-მოსწავლეებმა შრომითი ხელშეკრულება დადეს კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მუშაკებთან. სწავლისაგან თავისუფალ დროს, არდადეგე-



ამას წინათ ხობელებმა შესანიშნავი საჩუქარი — ახალი თეატრის შენობა მიიღეს. პიონერ-მოსწავლეებმა თეატრის წინ ლამაზი ყვავილნარი გააშენეს, იგი თვალსაც ახარებს და გულსაც.

ბის პერიოდში, გულმოდგინედ, დაუზარებლად შრომობდნენ გოგო-ბიჭები და ამით თავიანთი წვლილი შეჰქონდათ დიდ სახელმწიფოებრივ საქმეში — სასურსათო პრობლემის წარმატებით გადაჭრაში.

ხობის რაიონის სოფელ ნოჯიხევის საშუალო სკოლის პიონერ-მოსწავლეები ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს გიორგი იოსავას ესტუმრნენ და თავიანთი მიზანი გააცნეს. პატივცემულმა გიორგიმ სიხარულით მიიღო პიონერები და მალე შრომითი ხელშეკრულებაც გაფორმდა. არდადეგების პერიოდში სკოლის პიონერ-მოსწავლეებს 1200 მანეთის სამუშაო უნდა შეესრულებინათ. შრომისმოყვარე გოგო-ბიჭებმა იმარჯვეს და გეგმა-ვალდებულება (1600 მანეთი) პირნათლად გაანაღდეს. გამოცდილ მეჩაიეებს კვალში მისდევდნენ ჩაის კრეფის ნორჩი ოსტატები: ნანი ცხადაია და პაატა ალექსანდრია, ნური თოდუა, ზურაბ გერგაია, თამშა ჯაკონია და სხვები. პიონერების უმრავლესობამ ასი და ასზე მეტი კილოგრამი „მწვანე ოქრო“ მოკრიფა და ჩააბარა სახელმწიფოს, ირმა და გილვაზ გერგაიებმა კი თავიანთი თანატოლები უკან ჩამოიტოვეს: მათ ანგარიშზეა ორას-ორასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი. სულ კი ნოჯიხევის სკოლის მოსწავლეებმა შრომითი სემესტრის ბოლოსათვის მოკრიფეს ხუთი ტონა ჩაი, გათოხნეს და სარეველებისაგან გაწმინდეს სიმინდის ყანების თორმეტი ჰექტარი და ჩაის პლანტაციის სამი ჰექტარი, გაფოთლეს და სახელმწიფოს ჩააბარეს ორასი კილოგრამი დაფნის ფოთოლი, გეგმით გათვალისწინებული სამოცი კილოგრამის ნაცვლად მეურნეობას ჩააბარეს ოთხმოცდათხუთმეტი კილოგრამი აბრეშუმის პარკი. პიონერების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ თავიანთი სკოლის ნაკვეთზე აბრეშუმის ჭიის გამოსაკვებად დარგეს ასი ძირი თუთის ხე, ხოლო კომკავშირის 32-ე ყრილობის აღსანიშნავად ოცდათორმეტი ძირი დაფნის ხე ახარეს.

კოკისპირულმა წვიმებმა და ძლიერმა ქარმა სკოლის ნაკვეთში სიმინდი დააწვინა, მაგრამ ნორჩმა მესიმინდეებმა ყველაფერი იღონეს მოსავლის გადასარჩენად.



შრომითი სემესტრი კარგი მაჩვენებლებით დაამთავრეს სკოლის ნორჩმა მებოსტნეებმაც. მათ თავიანთ ნაკვეთზე ოცდაათი კილოგრამი პამიდორი, სამოცი კილოგრამი კიტრი, ოცდაათი კილოგრამი ბადრიჯანი და ხუთასი კილოგრამი ეკალა მოი-

ცისანა სიხარულიას, გილვაზ გერგაიას, გურანდა კიტიას, დავით ცხადაიას და მათ მეგობრებს სკოლის ეზოში ნაირფერი ვარდები გამოჰყავთ, რომლებიც შემდეგ რაიონის სკვერებსა და გაზონებში გადააქვთ.



გამოდის 1926 წლიდან
საქართველოს ალკკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი
პიონერი
11 ნოემბერი 1982
საქ. კკ ცკ-ის გამომცემლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბეჯითად აგროვებს თივას შრომისმოყვარე კახა გვასალია.

წიეს. აქედან მიღებული თანხით სკოლის ბიბლიოთეკისათვის — წიგნები და დარგობრივი კაბინეტებისათვის — თვალსაჩინოების ხელსაწყოები შეიძინეს. ყოველივე ამით კი რაიონის განათლების ორგანოებს საქმე შეუმსუბუქეს.

ახლახან ხობელმა მშრომელებმა შესანიშნავი საჩუქარი — ხელოვნების მშვენიერი ტაძარი, დიდებული თეატრი მიიღეს. ნოჯიხეველმა პიონერებმა აქაც თქვეს თავიანთი სიტყვა — თეატრის წინ ლენა ბრეგვაძის ხელმძღვანელობით მშვენიერი ყვავილნარი გააშენეს. ხასხასა ვარდებმა, რომლებიც ირმა, დათო და ნანი ცხადაიებმა ახარეს, ისედაც მშვენიერი ფასადი კიდევ უფრო მიმზიდველი გახადეს. სულ მალე ხობელები კიდევ ერთ ახალ საჩუქარს, სპორტულ კომპლექს „იმედს" მიიღებენ. კომპლექსის მშენებლობა ძირითადად უკვე დამთავრებულია, ახლა შიგა მოპირკეთების სამუშაოები მიმდინარეობს. ნოჯიხეველი პიონერები აქაც ფუსფუსებენ, რევაზ ჩიტაია და კახა ფაჩულია გაზონებისათვის ნიადაგს ამზადებენ, ცისანა სიხარულია, ბელა გერგაია, ხათუნა თირქია და სხვები, რომელთა ჩამოთვლაც ახლა შორს წაგვიყვანს, ნაირფერი ვარდების ნერგებით ქარგავენ სპორტული კომპლექსის შემოგარენს.

ცნობილია, რომ სასურსათო პრობლემის გადაწყვეტაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ყუათიანი სილოსისა და სენაჟის დამზადებას. ნოჯიხეველმა პიონერებმა ესეც კარგად იციან და იქ, სადაც მექანიზაცია უძლურია — ღობის ძირებში, გზის პირებში, ხეხილისა და ვენახის მწკრივებს შორის — ნამგლებითა და ცელებით შეიარაღებულნი გულმოდგინედ თიბავდნენ ბალახს და ამით თავიანთი წვლილი შეიტანეს სენაჟის დამზადების საქმეში.

და აი, ახლაც, როცა შრომითი სემესტრი დიდი ხანია დამთავრდა, შრომისმოყვარე გოგო-ბიჭები სწავლისაგან თავისუფალ დროს, გაკვეთილების შემდეგ, კვლავ მხარში უდგანან მეურნეობის მუშაკებს, გამალებით კრეფენ ჩაის, ამზადებენ სენაჟს, ეხმარებიან სიმინდის ტეხაში, დაფნის ფოთლის შეგროვებაში, — ერთი სიტყვით, ასრულებენ თითქმის ყველა იმ სამუშაოს, რასაც სოფლის მეურნეობაში მიმდინარე ეტაპი მოითხოვს.

ბარაქა, ნოჯიხეველო პიონერებო, თქვენს შრომით მამაცობას!



გზის პირებში, ღობის ძირებში ზურაბ გერგაიას მიერ მოთიბული ბალახი ხენაჟის დასამზადებლად მიდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გალაკტიონ ტაბიძის დაბადების 90 წლისთავი

# სულ პირველად

გალაკტიონ ტაბიძე საგურამოში ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის ხშირი სტუმარი იყო. აქ მას მეგობარიც ჰყავდა — მუზეუმის დირექტორი გენადი მიხელიძე. მეგობრები ხშირად ისვენებდნენ ილიასეული ბებერი კაკლის ქვეშ და სიამოვნებით იხსენებდნენ წარსულს.

მკითხველებს ვთავაზობთ ერთ მოგონებას, რომელიც ამ სტრიქონების ავტორმა გალაკტიონისა და გ. მიხელიძის საუბრის დროს ჩაიწერა.



გალაკტიონ ტაბიძე. 1939 წ.

•

**1908** წლის 28 სექტემბერს (ძველი სტილით), კვირას, თბილისის სასულიერო სემინარიის ყველა მოსწავლე დილით წირვის მოსასმენად ეკლესიაში ჩამწკრივებულიყო. გალაკტიონიც აქ იყო, იგი დაგვიანებით მოვიდა და ზედამხედველის ნებართვით თავისი ადგილი დაიკავა. დაღლილობა ეტყობოდა, ღრმად სუნთქავდა, სახე შეფაკლოდა. დრო რომ იხელთა, თავის მეგობარს გ. მიხელიძეს გაუღიმა და თავის ჯიბეზე ანიშნა, საიდანაც დაკეცილი გაზეთის კიდე მოჩანდა. გენადი გუმანით მიხვდა, რომ გაზეთში გალაკტიონის ლექსი უნდა ყოფილიყო დაბეჭდილი. შესვენებისას მეგობრები აივანზე განმარტოვდნენ. გალაკტიონმა მაშინვე ამოიღო ჯიბიდან გაზეთ „ამირანის“ **1908** წლის **169**-ე და ჟურნალ „ჩვენი კვალის“ იმავე წლის მე-**19** ნომრები, სადაც მისი პირველი ლექსები იყო დაბეჭდილი. გენადიმ ლექსები სულმოუთქმელად წაიკითხა და პოეტის სიხარულიც პირველად მან გაიზიარა.

ლექსები უსათაურო იყო, იგრძნობოდა ავტორის სევდიანი განწყობილება, მაგრამ აზრსა და რითმას წუნს ვერ დასდებდი.

გ. მიხელიძე მნიშვნელოვან ამბებს თავის უბის წიგნაკში იწერდა თურმე და არც გალაკტიონის პირველდასტამბული ლექსით გამოწვეული სიხარული დავიწყებია... როცა გ. მიხელიძემ გალაკტიონს ეს ეპიზოდი შეახსენა და თან წელთასვლით გაყვითლებული უბის წიგნაკიც უჩვენა, პოეტმა დიდად გაიხარა, სიყვარულით მხარზე ხელი მოხვია გენადის და უთხრა:

— ჩემო გენადი, ყველაფერი კარგად მოგინიშნავს და დაგიხსომებია, მაგრამ იქვე ისიც რომ დაგემატებინა, ჩემი ლექსის გამოქვეყნებით როგორ გაიხარა და კმაყოფილი დარჩა ჩვენი საყვარელი მასწავლებელი ვასილ ბარნოვი, უთუოდ კარგი საქმე იქნებოდაო.

შალვა მარკოზაშვილი,
ი. ჭავჭავაძის საგურამოს სახლ-მუზეუმის
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ღრუბლების მომშინაურებელი

აკაკი გენაძე

მხატვარი ზ. ფორჩხიძე

### მოთხრობა

ლეო და ლია გუშინ კლდისუბნის ორღარიან წყაროსთან, ტირიფქვეშ ჩურჩულებდნენ იდუმლად.

ლია, თოთხმეტიოდე წლის გოგონა, ზაფხულის არდადეგებზე ბებიასთან იყო ჩამოსული სოფელში. ლეო კი იქაური ყმაწვილი გახლდათ.

დათქვეს, ერთად წასულიყვნენ გორგორას მთებში. ლეო დილაბნელზე მიიპარებოდა იმ ფანჯარასთან, სადაც ლიას საწოლი ედგა, მინას ფრჩხილებით ფხაჭნას დაუწყებდა კატასავით და თუ მძინარე გოგონას ვერ გააღვიძებდა, ღრიჭოდ დატოვებულ ფანჯარას ფრთხილად გამოღებდა და წინასწარ მომზადებულ ჯოხს წაუცაცუნებდა ლიას მკლავზე ან კისერზე. თუ ასეც ვერ დააგდებინებდა ძილს, სამზადთან განგებ დატოვებულ სავსე დოქს მოიშველიებდა, მძინარეს პირისახეზე პეშვით შეასხამდა წყალს.

რიბირაბოს ჟამს, ლეო ფეხისწვერებზე მიიპარა ცისფრად შეღებილ ფანჯარასთან და ფრჩხილები მინაზე ააფხაჭუნა. ლიას გვერდიც არ შეუცვლია. ბიჭმა სარკმელი შეაღო და გრძელი ჯოხის წვერი გოგონას კისერთან შეუთამაშა. მძინარემ თვალები სწრაფად გაახილა.

— ვაიმე!

— ნუ გეშინია, ლია, მე ვარ! — წაიჩურჩულა ბიჭმა. — თენდება უკვე, ადე ჩქარა! ჭიშკართან დაგელოდები! იცოდე, ძილი არ შეიბრუნო!

— წადი, მე ახლავე გამოვალ.

გაიჭიმა ლიას „ახლავე". ჭიშკართან ატუზულ ბიჭს კარგა ხანს დასჭირდა ლოდინი. ის იყო გაიფიქრა, ალბათ ისევ ჩაეძინა, შევბრუნდები და გავაღვიძებო, რომ ლიაც გამოჩნდა.

— მადლობა ღმერთს! თუ ასე გავფლანგეთ დრო, რას მოვასწრებთ. კინაღამ აქვე დაგვათენდა. აბა, ქარის მუხლები გამოვიბათ, თორემ. . .

— ვაი! — წამოიძახა ლიამ, — ქოლგა დამავიწყდა, ჩემი ჭრელი ქოლგა. მე ახლავე. . .

— აგერ, ამხელა ქუდი გახურავს თავზე, რაღა ქოლგა გინდა. ნულარ ვაგვიანებთ, სადაცაა გაიღვიძებს სოფელი. გესმის? ტოროლა უკვე აიჭრა და ცაში გალობს. ბუ ალბათ უკვე გაჩუმებულია. ცისკრის ჩიტია ტოროლა, ბუ არის ღამის თვალიო, ასე ამბობს ბაბუა ლონგო. ჰოდა, სალუტ, კამარად! გავუტიოთ!

ორღობეს ლანდებივით გაუყვნენ. უხმოდ მიაბიჯებდნენ.

სოფელში კანტიკუნტად ყიოდნენ მამლები და თითქოს მათ ყივილზე იღვიძებდა დილა. ჯერ შორეული მაღალი მთები გამოვიდნენ სიბნელიდან, მერე თანდათან — ქვეყნიერებაც. ბიჭმა ახლაღა შეამჩნია, გოგონას შავხალებიანი წითელი კაბა ეცვა. სწორედ ამ კაბის გამო უთხრა ერთი კვირის წინ — ფეხადგმულ ყაყაჩოს ჰგავხარო. ახლა ლიას სააგარაკო ფართოფარფლებიანი ქუდიც ეხურა, თმა ცხენის კუდივით ჰქონდა გამონასკვული, წითელი სანდლები ეცვა, პრიალა.

ლეო უქუდოდ იყო, ფანელის კუბოკრულ კვართზე ფართო ქამარი ერტყა და ქამარში ცხვირნისკარტა წალდი ჰქონდა გაჩრილი. კისერზე დურბინდი ეკიდა თასმით. ლიამ ახლაღა შეამჩნია, ბიჭი ფეხშიშველა რომ მოდიოდა.

— ლეო, ასე რატომ? ფეხსაცმელი ხომ გაქვს?

— ზაფხულში იშვიათად ვიცვამ.

— არც მაშინ, მთაში რომ მიდიხარ?

— მთაში სასიარულოდ მით უფრო არ ვიცვამ...

— არ გეშინია, ეკალი რომ შეგერჭოს ან წვეტიან ქვაზე ფეხი რომ გადააფლითო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე ეკალი არასოდეს შემსობია, წვეტიან ქვებზეც თავისუფლად დავტრატუნობ.

— ფეხისგულები სულ არ გტკივა?

— რა ხანია შეჩვეული ვარ. ბაბუა ლონგომ დამარიგა, მთელი ზაფხული ფეხშიშველამ უნდა იაროო. მე ყველაზე ბედნიერი მაშინ ვარ, ჩემი ბავშვობის ფეხშიშველა დღეები როცა მაგონდებაო; ვინც ფეხშიშველა დადის ზაფხულში, ჯანი მუდამ მრთელი აქვსო. მერე წიგნებშიც წავიკითხე, რომ ეს მარგებელია. შენც თუ გაიხდი მაგ სანდლებს, კარგს იზამ.

— მე არ შემიძლია ფეხშიშველა სიარული. ზღვაზე როცა მივდივარ დასასვენებლად, უქოშებოდ ქვიშაზეც ვერ ვახერხებ ნაბიჯის გადადგმას.

— ყველაფერს შეჩვევა უნდა. თანდათან თუ არ შეეჩვიე, ფეხშიშველაც ვერასოდეს გაივლი. გაიხადე, გაიხადე. აქ უქვო გზაა, რბილი.

— არ შემიძლია და რა ვქნა. მეშინია.

ბიჭს აღარ დაუძალებია:

— კაი, იყოს ახლა შენებურად. როცა არ შეგეშინდება, მაშინღა გაიხადე.

უკან ჩამოიტოვეს დილის ტკბილ ძილ-ბურანში გახვეული სოფელი. ლია შეჩერდა და მაღლა დაიწყო ყურება.

— რა ლამაზია!

— რა?

— ცა... გათენებისას. როგორ თანდათან გაფერმკრთალდნენ ვარსკვლავები, თითქოს ცის სიღრმეში ჩაიძირნენ. ერთადერთი ვარსკვლავიღაა ზედ, გეგონება, თვალს აბრდღვიალებს.

— ამდროს ცა არასდროს გინახავს?

— ვინ მაჩვენებდა? გუშინ არ გითხარი, მზის ამოსვლაც კი არასდროს არ მინახავს. ეგ რა ვარსკვლავია თვალგახელილი?

— ცისკრის ვარსკვლავია — ვარსკვლავთა მწყემსი. შებინდებისას ეგ მოუძღვის ვარსკვლავებს, დილით კიდევ ეგ აცილებს ყველა ვარსკვლავს და ბოლოს თვითონაც უჩინარდება. ლონგო ბაბუა, იცი, რას ამბობს? ვარსკვლავები ღამის ყვავილებიაო, ღამით მათი გული ანათებს, დილით მზის მოახლოვებისას ფურცლებს ხურავენ და შუქიც იმიტომ ეკარგებათო.

— პოეტია ის შენი ლონგო ბაბუა?

— არა, პოეტი არ არის, ერთი ლექსიც არ დაუწერია. უბრალოდ ასეთი ლაპარაკი იცის. ალბათ სულ მთაში რომ არის, იმან გაუჩინა ასეთი ფიქრი და სიტყვაც. მთელი ცა ზეპირად იცის, რომელი ვარსკვლავი როდის ამოდის და ჩადის, ერთს შეხედავს ცას და გეტყვის, ხვალ, ზეგ თუ ზეგის ზეგ რა ტაროსი იქნება. ერთხელაც არ შემცდარა.

— რატომ ცხოვრობს სულ მთაში?

— უყვარს და რა ჰქნას? ამბობს, აქ ცაშიც ვარ და მიწაზეცო. იცი, წიგნიც უყვარს. როცა ფერმის გამგე მთაში მიდის, ჩვენი ბიბლიოთეკარი ლონგოსათვის უეჭველად ატანს ხოლმე ახალ წიგნებს. ფუტკრის ახალი ჯიში გამოიყვანა, — ყოველგვარ ავდარს უძლებს და თაფლსაც ბევრს იძლევა. საქონლის [illegible] ამიტომ ჩააბარეს საფუტკრეც და ჯოგიც.

— ლონგო ნამდვილი სახელია, თუ...

— სინამდვილეში ლონგინოზი ჰქვია. ისე კი ყველა ლონგოს ეძახის.

— თეთრწვერაა?

— კი, თეთრწვერაა. თოვლიან მთას ჰგავს თვითონაც. სულ გინდა, უყურო. მარტო ლაპარაკი კი არ იცის გემრიელი, შესახედავადაც ლამაზია. ავალთ და შენი თვალით ნახავ.

ცხვირწამოშვერილი კლდის ძირას წყარო მოღუღულობდა. აქ ბიჭი შეჩერდა.

— ლია, შენ ამ დილით პირის დაბანა მოასწარი?

— აბა, როდის? თანაც მოვერიდე: პირის დაბანა რომ დავიწყო, ვაითუ ბებიამ ან დედამ გაიღვიძონ და განზრახვა ჩაგვეშალოს-მეთქი.

— იმიტომაც გაქვს თვალებში ძილი ჩარჩენილი. მოდი, ამოიბანე!

— საპონი და პირსახოცი რომ არ წამომიღია?

— იჰ, ქალაქელო! საპონი და პირსახოცი თუ არ გექნა, პირი აღარ უნდა დაიბანო? — ლეომ ბინულს პეშვი ამოჰკრა და სახეზე შეასხურა ლიას. ლია განზე გახტა.

— წყალმა შეგაშინა?

— შენ კი მოასწარი პირის დაბანა?

— მე პირდაუბანელი არაფერ საქმეს არ ვკიდებ ხელს. შინიდან ხომ არ გავდივარ და არა! მაგრამ ა შენი ხათრით მეც დავიბან კიდევ! — ლეომ ორივე პეშვით აიტაცა ბინულის ცისფერი, კამკამა წყალი და პირისახეზე ფშვინვით შეისხურა, როგორც გლეხებმა იციან.

— უჰ, შენი სულისა, სიცოცხლეა, სიცოცხლე! მკვდარი რომ იყო, გაცოცხლდები, საღათას ძილით რომ გეძინოს, გამოფხიზლდები! ამოდუღდი, მარგალიტო!..

ლიამაც აიტაცა პეშვით ცინცხალი წყალი და პირისახეზე რომ შეისხურა, შემცბარი შეცახცახდა.

— უუუჰ! ყინულივით ცივია!

— მეორედაც შეისხურე და ცივი აღარ მოგეჩვენება. ეს ბინული უკვდავების წყაროსავითაა, არასდროს შრება. იმიტომ, რომ მიწის გულიდან ამოდის. ზაფხულში ყინულივით ცივია, ზამთარში კი ისე თბილი, ორთქლი ასდის. ალბათ მიწის გულიდან ერთნაირად მოდის მუდამ. მაგრამ ზამთრის სიცივეში თბილი გვეჩვენება, ზაფხულის სითბოში კი — ცივი. რაღას უცდი, კიდევ შეისხურე და გახალისდები. თუ გინდა, ცოტა დალიე კიდეც.

წყარომ მალე გაახალისა ლია და გზას უფრო მხნედ გაუდგა.

გეგონებოდათ, ფრთოსნები დილაადრიან გზაზე გოგო-ბიჭის გამოჩენამ გაახარაო, — გახშირდა ჭიკჭიკი და ჟივილ-ხივილი. ლია მონუსხულივით შეჩერდა.

— რა კარგია, თითქოს ცა და მიწა შეხმატკბილებით აგალობდნენო.

— გათენება ყველას უხარია, ჩიტებს განსაკუთრებით. მუდამ გალობით ეგებებიან.

— ლეო, შენ ჩიტი თუ მოგიკლავს?

— არა, ჩემ სიცოცხლეში შურდულიც კი არა მჭერია

ხელში. ლონგო ბაბუა ჩიტებზე, იცი, რას ამბობს? ნამდვილი ციური ანგელოზები ესენი არიანო, ვინც ჩიტსა კლავს, ანგელოზსა კლავსო. ერთხელ შუა ზამთარში, თოვლიან მინდორში მივაბიჯებ, ცალკე მდგარ მუხას შევხედე და გამიკვირდა: ყველა ხეს ფოთოლი ადრევე დასცვივდა და ამას ამდენი რამ შეარჩინა-მეთქი. მივუახლოვდი და, ფრრრრ! თურმე შიშველ ტოტებზე ჩიტები ისხდნენ. უცებ ისე შემეცოდა თოვლში მდგარი უფოთლო ხე, კინაღამ ავტირდი. მერე ისიც გავიფიქრე, იქნება ჩიტებსაც ჩემსავით შეეცოდათ და იმიტომ ჩამოუსხდნენ ფოთლებად, მე კი დავაფრთხე-მეთქი. წამხდარ საქმეს რაღას ვუშველიდი. წავიდეთ, ჩიტები იქითაც არიან.

გოგო-ბიჭს კარგა ხანს მიაცილებდა ფრინველთა გალობა, თითქოს თვითონ გზაც გალობდა. ლეომ საურმე გზიდან მინდვრის ბილიკზე გადაუხვია, ჩუხჩუხა ნაკადულს რომ მიუყვებოდა აღმა. ასიოდე ნაბიჯიც არ ჰქონდა გავლილი, წყალზე მარდად გადახტა და შემობრუნდა:

— სალუტ, კამარად! მანდ რას უცდი?

— მე აქ, ვერა, ვერა! — თითქოს ვინმე ექაჩებაო, უკან დაიხია ლიამ. — წყალში რომ ჩავვარდე, ფეხები დამისველდება.

— ისე უნდა გადმოხტე, არ ჩავარდე. ჰე! ერთი, ორი, სამი და. . . ჰე!

— ვაიმე!

— გოგო, ასე პატარა წყალზე თუ არ გადმოევლე, იქით ისეთი გიჟმაჟი ღელე გველოდება, მერე მდინარეც... წყალი რომ არ მოდიოდეს, ამხელა მინდორზე ხომ თავისუფლად გადმოხტებოდი? იფიქრე, რომ აქ წყალი არ მოდის... წინა პარასკევს ხომ მაგრად მეჯიბრებოდი ხტომაში? ჰე, გაბედე! ერთი, ორი, სამი და... მაინცდამაინც ასამდე დავითვალო?

— ვაიმე, ვერა!. . — წინ წამოვიდა და ისევ უკან დაიხია ლიამ.

— ვერა, და... მაშინ, იცი, რას გეტყვი? პ[illegible] რობაა! კი, ბატონო, დავბრუნდეთ შინ! შენ მ[illegible] გზურობა გამიწიეო, თორემ მე თვითონ აქაური მთა-ბარი ასჯერ მაქვს მოვლილ-მოვლილი, ლონგოსთანაც ასჯერ ვარ ნამყოფი...

გოგონა კარგა ხანს ქანდაკებასავით იდგა. ბიჭმაც კარგა ხანს აღარაფერი უთხრა, ნაკადულის პირას წამოყუნტულ თეთრ ქვაზე ჩამოჯდა და წყლის დინებას დაუწყო თვალთვალი. მოეწყინა. ისევ ლიას გახედა ქვეშქვეშ. დუმილიც თვითონ დაარღვია წამღერებით:

— გამოღმით მე ვარ, გაღმით შენ, შუა ჩაგვიდის მდინარე! ხიდი არ გვიძე წყალზედა... ჰე, ამყევი, ლია! ვიმღეროთ მაინც! არ გესმის?

— ლეო, იქნებ მართლაც გაბრუნება ჯობდეს... მე შენსავით არ შემიძლია... — ძლივს ამოღერღა ლიამ.

— ეჰ, გუშინ რა თავგადაკვლით მეხვეწებოდი, გორგორას მთა-ბარი მომატარე და ის შენი მოძღვარი ლონგოც მაჩვენეო.

— არ მეგონა, თუ... თუ ასე...

— რა ასე?

— შენსავით მე არც სიარული შემიძლია, არც ხტომა...

— ნაკადულს რომ ყური დაუგდო, შეგიძლია?

— ყრუ კი არა ვარ. . .

— ჰოდა, ჩამოჯექი მანდ ჩემსავით და დაუგდე ყური ნაკადულს.

ლია ლოდზე ჩამოჯდა და დამნაშავესავით თავი ჩაქინდრა.

— რიყეს ნუ ჩაჰყურებ, წყალს უსმინე, ყაყაჩოს კაბიანო!

— ვუსმენ. რა, არ შეიძლება, რიყეს უყურო და ნაკადულსაც უსმინო კაცმა?

— მერე, თუ უსმენ, არაფერი გესმის?



ეროვნული ბიბლიოთეკა



— თითქოს ჩიტივით ქლურტულებს თუ ბუტბუტებსო...

— სიცილი არ გესმის?

— ვისი?

— ნაკადულის.

— სიცილი მხოლოდ ადამიანმა იცის.

— ნაკადულმაც იცის. ახლაც სიცილით კვდება.

— იქნებ ისიც იცი, რა აცინებს?

— ვიცი, ნიავი რაღაც საოხუნჯო ამბავს უყვება და...

— მარტო შენ გესმის ნაკადულის სიცილიც და ნიავის მოყოლილი საოხუნჯო ამბავიც?

— თუ კარგად დაუგდებ ყურს, შენც გაიგონებ. წყალს ჩახედე და დააკვირდი. ვერაფერს ხედავ?

— კენჭებს, მხოლოდ კენჭებს. ერთი შავია, მეორე თეთრი, მესამე ჭრელი...

— თუ კენჭებს ასე კარგად ხედავ, რატომღა ამბობ, ნაკადულის სიცილი არ მესმისო? შავი კენჭები ნაკადულის ავი სიცილია, თეთრი კენჭები — კეთილი, ჭრელიც — შერეული. თეთრი კენჭები ნაკადულის კიჭებია, არ ჰგავს? მართლა ნიავი კი არ აცინებს ნაკადულს, თვითონ იცინის.

— ბარემ ისიც ჩამიკენჭე, თვითონ რაზე იცინის ნაკადული თავისი თეთრი კიჭებით?

— ნაკადული შენს საქციელზე იცინის: გუშინ რა თამამად ლაპარაკობდა, ოღონდ წამიყვანე და მთაზე არწივივით ავფრინდებიო, დღეს კი პირველმა პატარა დაბრკოლებამვე ისე შეაშინა, თვალი შინ გაქცევაზე უჭირავსო. კი, ბატონო, ვიჯდეთ ასე და ვუყუროთ ნაკადულს. ამბობენ, მსრბოლავი წყლის ყურება ადამიანს სიცოცხლეს უხანგრძლივებსო.

ლეო გაჩუმდა. ლიასაც არ დაუძრავს კრინტი. ნაკადულიღა ქლურტულებდა.

უცებ გოგონა წამოხტა, უკან დაიხია, ფეხაჩქარებით გამოიქცა და... ლეოს წინ დამხტარმა ჩაიმუხლა. ბიჭმა უმალვე დასტაცა ხელი და წამოაყენა.

— ა, სულ ეს იყო, ამან შეგაშინა? ამისთვის მალოდინე ამდენ ხანს? პირველი ზღუდე გადალახულია, გავიქცეთ ახლა. აი, იმ მინდორში ამოზრდილ კლდეს ხედავ, ციხე-კოშკივით რომ დგას?

— იქით ბილიკი რომ არ მიდის?

— მინდორს ბილიკი რად უნდა?

— ნამიანია ბალახი!

— გაციების გეშინია? დილის ნამით ფეხების დასველება პირის დაბანასავითაა, ადამიანს აფხიზლებს, ჯანსაც რგებს. მე დილით ნამიან მდელოზე განგებ დავრბივარ ხოლმე ფეხშიშველი, მაგრამ ერთხელაც არ გავცივებულვარ.

— რა სულ შენი არშინით მზომავ, მე და შენ ერთი ვართ? შენ, ფეხშიშველა სიარულის არ იყოს, შეჩვეული ხარ ასეთ ამბებს პატარაობიდანვე, მე კი...

— თუ გინდა შეეჩვიო რამეს, უნდა სცადო. იცი, ცვარ-ნამი თურმე ვარსკვლავთა ცრემლებია, ზოგი — სიხარულის, ზოგი — ჭირ-ვარამის. როცა ღამით ცაზე ვარსკვლავები არ ჩანს, დილით არც ცვარ-ნამია ბალახზე. ვარსკვლავების ცისფერი ცრემლებით დასველება გაშინებს? აბა თუ დამეწევი! — ლეომ შარვლის ტოტები მუხლებამდე აიკარწახა და გაკურცხლა.

გარბის ცვრიან ბალახზე ფეხშიშველა ბიჭი და მისდევს წითელსანდლებიანი გოგონა. გალუმპულ შიშველ წვივებსაც და მთლად დასველებულ სანდლებსაც ბალახის წვრილ-წვრილი ფოთლები ხშირ მწვანე ჭორფლად დაეყარა.

— მოვინათლეთ! — წამოიძახა მხიარულად ბიჭმა, მინდორში კოშკივით ამოზრდილ რუხ კლდესთან შეჩერდა და ლოდზე ჩამოჯდა. — ცვარ-ნამით ფეხების გალუმპვა დილის ემბაზია. მიყვარს ეს ემბაზი. შენ დაგისველდა ფეხები?

— მეტი არა?! სანდლებს სულ ჭყაპაჭყუპი გაუდის.

— კარგია, შენც მონათლულხარ უკვე.

ამასობაში მზემ მთის ფერდობიდან ჩამოივაკა და მწვანე მინდორი თეთრად აალივლივა.

— ესეც მიყვარს, — თქვა ბიჭმა. — დააკვირდი, ერთდროულად რამდენი მზე გაჩნდა მინდორში. წითელმა მზემ ყველა ცვარ-ნამს ცალ-ცალკე ჩამოუარა და თავისი სხივი გულში ჩაუსახლა, ვარსკვლავთა ცისფერი ცრემლები თეთრად გაანათა. ხომ ლამაზია?

ლია ისე იყო ამ სურათით მოხიბლული, ხმა არ გაუცია.

— ცვარ-ნამი რომ ვარსკვლავთა ცრემლებია, ჩემით არ მომიგონია, ლონგო ბაბუამ მითხრა. ახლა კი, იცი, რა გავიფიქრე? ცვარ-ნამი მარტო ვარსკვლავთა ცრემლები კი არაა, საღამოს მზის სხივებიც არი. მზე რომ ჩადის, ენანება წასვლა, ჩუმად იცრემლება და მისი ცრემლები ბალახს ეკიდება საყურეებივით. მერე, მზე რომ ამოდის, უხარია ქვეყნიერების დანახვა და უნდა ეს სიხარული თავის წუხანდელ ცრემლებსაც გაუზიაროს. ყველა ცრემლს მზე ჩაუსახლოს გულში... ხედავ, ერთბაშად როგორ გაბრწყინდა ყველა ცვარ-ნამი და გაანათა მთელი მინდორი. ამ ცვარ-ნამს მზე კი არ დააშრობს, მძივებივით აკრეფს, ოღონდ უჩინრად, და ცის გულში შეინახავს. მერე ისევ დააბნევს. ჰოდა, ახლა ჩვენ მზის სიხარულადქცეული ცრემლებით გავინათეთ გზა, უბრალოდ კი არ გავლუმპულვართ, ეს დილის ემბაზია. იცი, ემბაზი რა არის?

— არ ვიცი.

— ემბაზს თურმე წინათ ნაკურთხ წყალს ეძახდნენ, და იმ წყალში ხათლავდნენ ბავშვებს. ლონგო ბაბუა კი დილის ცვარ-ნამს ეძახის ემბაზს, ყველა გოგო-ბიჭი ამ ემბაზში უნდა მოინათლოს, თუ გვინდა ადამიანად გაიზარდოსო...

კლდესთან ქვა-ღორღიანი ბილიკი დახვდათ, ტყიანი ფერდობისკენ მიმავალი პატარა ხევი რომ გადაიარეს, ტყიდან პირხმელი და თეთრთმაგაწეწილი, ფეხშიშველა ქალი გამოვიდა და მათკენ გამოეშურა. დახეულ-დაფლეთილი თალხი კაბა ძონძივით ეკიდა ტანზე, უთავსაფროდ იყო. დიდრონ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა.

— ვაიმე, ქაჯი! — წამოიძახა ლიამ და გაქცევა დააპირა.

— ნუ! არ გაიქცე, თორემ გამოგეკიდება! — შეაჩერა ლეომ. — არავის ერჩის, გამოგელაპარაკება და თავისი გზით წავა.

მხრებში მოხრილი, აკანკალებული დედაბერი შორიახლოს შეჩერდა:

— ვინ ხართ თქვენ?

— აქაურები არა ვართ, ბებია! — მშვიდად მიუგო ლეომ.

— ვისთან მიდიხართ?

— ლონგო გვინდა ენახოთ, მეფუტკრე რომ არის და მწყემსი.

— ჰო, ლონგო კარგი კაცია... ჩემს ბიჭებს ყოველთვის ექომაგებოდა. ჭკუასაც არიგებდა ხოლმე. ჩემს რომელიმე ბიჭს აქეთ ხომ არ გამოუვლია?

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივერონი (ახალი ბერძნული გამოთქმ[illegible]) ჰქვია ივერთა ანუ ქართველთა მონასტერს, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა ააშენეს საბერძნეთში, ათონის მთაზე, ათასი წლის წინათ — 980-983 წლებში. იმ დროს სწავლა-განათლების, ლიტერატურული საქმიანობის, კულტურული ცხოვრების ცენტრებს ძირითადად ეკლესიამონასტრები წარმოადგენდა და ივერონმა მათ შორის ერთბაშად პირველი ადგილი დაიჭირა. ის იყო ძველი ქართული კულტურის უდიდესი და უმნიშვნელოვანესი კერა საზღვარგარეთ.

ძველი ქართული ლიტერატურის უდიდესი მკვლევარის აკადემიკოს კორნელი კეკელიძის შეფასებით, არც ერთ სამონასტრო დაწესებულებას ისეთი მნიშვნელობა არ ჰქონია ჩვენი მწერლობისა და კულტურის ისტორიისათვის, როგორიც ათონს.

სწორედ ამიტომ ათონის ივერთა სავანის დაარსების ათასი წლისთავი ფრიად საპატიო და საგანგებოდ აღსანიშნავი თარიღია ქართული კულტურის ყველა მოყვარულისა და დამფასებლისათვის. ისტორია ამ სავანის დაარსებისა ჩვენთვის საკმაოდ დაწვრილებით არის ცნობილი იმ ისტორიული თხზულებით, რომელიც ივერონის დამაარსებლების იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრებას აგვიწერს და ამავე მონასტერში მოღვაწე გამოჩენილი ქართველი მწერლისა და მეცნიერის გიორგი მთაწმიდელის კალამს ეკუთვნის. სწორედ ამ თხზულების საფუძველზე აგო აკაკი წერეთელმა თავისი შესანიშნავი ისტორიული პოემა „თორნიკე ერისთავი", რომლის მეშვეობითაც ახლა ეს ამბავი ყოველმა ქართველმა მოსწავლემ იცის.

ათონის ივერთა მონასტრის ერთ-ერთი ფუძემდებელი და პირველი წინამძღვარი იოანე ათონელი ანუ მთაწმიდელი, რომელსაც ერისკაცობაში აბულჰერით რქმევია, დაბადებული 920 წელს (ან მის ახლო ხანებში) ტაო-კლარჯეთში. მისი მამა-პაპანი წარჩინებული და მეფესთან დაახლოებული პირები იყვნენ. ჭკვიანმა და კეთილმა, გარეგნულად მშვენიერმა, ტანმაღალმა აბულჰერითმა მალე თვითონაც თავი გამოიჩინა ბრძოლებში და მეფე დავით კურაპალატის დიდი სიყვარული მოიპოვა.

ამ სახელოვან ვაჟკაცს ცოლ-შვილიც ღირსეული ჰყოლია. მისი მეუღლე ბიზანტიის იმპერატორთაგან მიღებული და პატივცემული პირის, სახელად აბუჰარბის, ასული ყოფილა. ამ პერიოდიდან ჩვენს ისტორიაში აბუჰარბის სახელით ცნობილია გამოჩენილი ქართველი სარდლის თორნიკე ერისთავის მამის — ჩორდვანელის — ძმა, რომელიც უნდა იყოს სწორედ სიმამრი აბულჰერითისა (იოანე მთაწმიდელისა).

ერთ დღეს აბულჰერითმა ჩუმად დატოვა ოჯახი, ცოლ-შვილი, ნათესავები, უარყო ამქვეყნიური პატივი და დიდება და ბერად აღიკვეცა იოანეს სახელით. ერთხანს საქართველოშივე იმყოფებოდა, ოთხთა ეკლესიათა ლავრაში, მაგრამ როცა მისი ადგილ-სამყოფელი გამჟღავნდა, დატოვა აქაურობა და გადასახლდა მცირე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ივერონი

ზურაბ ჭუმბურიძე

აზიაში, ოლიმპის მთაზე, სადაც კარგა ხანი იყო ქართველები მოღვაწეობდნენ.

როცა აბულჰერითმა ოჯახი დატოვა და ბერად შედგა, მისი ცოლ-შვილის პატრონობა სიმამრმა აბუჰარბმა და ცოლისძმებმა იკისრეს. სწორედ იმ ხანებში ბიზანტიის იმპერატორმა დავით კურაპალატს დაუმტკიცა „ზემონი ქვეყანანი“ და სამაგიეროდ „მძევლად აზნაურთა შვილნი ითხოვნა მისგან“. ამ მძევალთა შორის მოხვდა იოანე-აბულჰერითის უმცროსი ვაჟიც, რომელიც პაპამისმა აბუჰარბმა და ბიძებმა (დედის ძმებმა) ჩაიყვანეს ბიზანტიის სატახტო ქალაქში. იმ დროს იოანე-აბულჰერითი ოლიმპის მთაზე იმყოფებოდა. მან შეიტყო ეს ამბავი, მაშინვე ჩავიდა კონსტანტინოპოლში და დიდი საყვედური მოახსენა თავის სიმამრსა და ცოლისძმებს: განა თქვენ საკუთარი შვილები არ გყავდათ, რომ ისინი გაგეგზავნათ მძევლად? „გარნა ესე ცხად არს, რომელ მათ სწყალობდით, ვითარცა თვისთა შვილთა, და ძე ჩემი, ვითარცა ობოლი, მძევლად გასწირეთ!“

იოანე იმპერატორს ეახლა, შვილი მძევლობისაგან დაიხსნა და თან წაიყვანა ოლიმპის მთაზე, აქედან კი ის თავის შვილთან და რამდენიმე მოწაფესთან ერთად მალე ათონზე გადავიდა ათანასე ოლიმპელის მიერ აშენებულ ლავრაში.

იოანემ თავისი ვაჟიც ბერ-მონაზვნური ცხოვრების გზაზე დააყენა, რის გამოც მას წესის თანახმად სახელი გადაარქვეს და ეფთვიმე უწოდეს. პატარა ეფთვიმე თურმე ბერძნულად უკეთ ლაპარაკობდა, ვიდრე ქართულად. მამამისი დიდად შეაწუხა ამ ამბავმა და მან ყოველგვარი ღონე იხმარა, რომ ბავშვს მშობლიური ენაც კარგად შეეთვისებინა და ამავე დროს ბერძნულშიც გაწაფულიყო. ამის შედეგი იყო, რომ ეფთვიმე სრულყოფილად დაეუფლა ორივე ენას და ბრწყინვალად თარგმნიდა, როგორც ბერძნულიდან ქართულად, ასევე ქართულიდან ბერძნულადაც.

იოანე მთაწმიდელი დიდი გავლენით სარგებლობდა ბიზანტიის სამეფო კარზე და ყოველნაირად ეხმარებოდა სამონასტრო საქმეების მოწესრიგებაში ათანასე ოლიმპელს, რომელიც დიდი ლაზი იყო, იოანეს ტოლი და მისი კარგი მეგობარი. ის დიდად უწყობდა ხელს ათონზე ქართველთა სამონასტრო კოლონიის ზრდას.

მალე ათონზე დამკვიდრდა აგრეთვე ბერად შემდგარი თორნიკე ერისთავი, წარსულში სახელგანთქმული ქართველი სარდალი, რომელიც იოანე მთაწმიდელის ცოლის ბიძაშვილი იყო. ბერობაში სახელად მასაც იოანე ეწოდა.

მოკლე ხანში ათონზე იმდენმა ქართველმა ბერმა მოიყარა თავი, რომ ათანასეს ლავრაში მათი ყოფნა უხერხული შეიქნა. თანდათან მომწიფდა იმის საჭიროება, რომ ქართველებს ათონზე დამოუკიდებელი მონასტერი ჰქონოდათ. მალე ამის შესაძლებლობაც მიეცათ.

976 წელს ბიზანტიის მცირეწლოვან იმპერატორებს ბასილსა და კონსტანტინეს აუჯანყდა აღმოსავლეთის ოლქების მმართველი ბარდა სკლიაროსი (ვარდა სკლიაროსი), რომელსაც ტახტის დაპყრობა სურდა. ის ზედიზედ ამარცხებდა საიმპერიო ჯარებს და მიიწევდა სატახტო ქალაქისაკენ. ამ კრიტიკულ მომენტში სამეფო კარმა გადაწყვიტა, დახმარება ეთხოვათ ქართველებისათვის. მოციქულობა დაეკისრა თორნიკე ერისთავს, რომელიც თავისი გამოცდილების წყალობით კარგად ერკვეოდა შექმნილ სიტუაციაში და თანაც, როგორც ბერს, შედარებით ადვილად შეეძლო არეულობის ჟამს ქვეყნიდან ქვეყნად მოგზაურობა.

ამ დროს ტაოში ტახტზე იჯდა მეტად ჭკვიანი და გამჭრიახი პოლიტიკოსი დავით კურაპალატი (961-1001 წწ), რომელიც ბიზანტიის ქვეშევრდომად ითვლებოდა და იმპერატორთა მიერ ნაბოძებ ტიტულებს ატარებდა, მაგრამ სინამდვილეში დამოუკიდებლად მართავდა სამეფოს და ქართველთა ერთიანი სახელმწიფოს შექმნაზე ოცნებობდა. სკლიაროსის გამარჯვება სახიფათო იყო მისი მიზნებისათვის. ამავე დროს სკლიაროსის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებისათვის იმპერატორები ჰპირდებოდნენ დავითს, რომ მას გადასცემდნენ ტაოკლარჯეთის მეზობელ ოლქებს მთელი სიცოცხლის მანძილზე მართვა-გამგეობისათვის. ასეთ ხელსაყრელ პირობებში ყოყმანი ზედმეტი იქნებოდა და მეფემ სასწრაფოდ ლაშქრის შეკრება ბრძანა.

თორმეტი ათასი ქართველი მეომარი თორნიკესა და ჯოჯიკ ერისთავთ-ერისთავის წინამძღოლობით დაიძრა ბიზანტიისაკენ. გადამწყვეტი ბრძოლა მოწინააღმდეგეთა ჯარებს შორის გაიმართა მდინარე ჰალისის (ღალისის) პირას 979 წლის 24 მარტს. ამ ბრძოლაში სკლიაროსი სასტიკად დამარცხდა და გაქცევით უშველა თავს. ქართველებმა ომში დიდი სიმამაცე გამოიჩინეს და თავ-

ლსაჩინო როლი შეასრულეს სკლიაროსის აჯანყების ჩაქრობაში.

ამ დამსახურებისათვის დავით მეფემ საგანმგებლოდ გადაეცა ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთის პროვინციების მნიშვნელოვანი ნაწილი და მიუხიჭა „ყოვლისა აღმოსავალისა (ე. ი. მთელი აღმოსავლეთისა) კურაპალატის“ ტიტული, ქართველ მეომრებს კი დავლად დარჩათ დიდძალი ქონება და ოქრო-ვერცხლი. ცხადია, ყველაზე უხვი ჯილდო თორნიკე ერისთავს ერგებოდა, მაგრამ ის ბერი იყო და პირად სიმდიდრეზე აღარ ზრუნავდა. მთელი თავისი მონაგარის ერთი ნაწილი მან ქვრივობლებისათვის გასცა, ნაწილი ათონისეს ლავრას და ბერძენთა სხვა მონასტრებს შესწირა, ყველაზე დიდი ნაწილი კი ათონზე სამონასტრო ადგილის შეძენას და იქ ქართველთა მონასტრის გაშენება-დაფუძნებას მოახმარა.

ათონის ივერთა მონასტრის კომპლექსიდან პირველად საფუძველი ჩაეყარა იოანე მახარებლის ეკლესიას, რომელიც თორნიკეს წარსაგებელით აშენდა სულ მალე ბარდა სკლიაროსის დამარცხების შემდეგ. 983 წელს მონასტერი უკვე შეუდგა საქმიანობას. ქართველთა მონასტერი — ივერონი მრავალი სიკეთით იყო შემკული და სჯობდა სხვებს: „დაღაცათუ ფრიადნი იყვნეს მონასტერნი, გარნა მსგავსი მისი არა იპოვებოდა, და არა ხოლო მთასა, არამედ სხვათაცა მრავალთა ადგილთა“. მისი პირველი წინამძღვარი, როგორც ვთქვით, იოანე მთაწმიდელი იყო. იოანემ და თორნიკემ სიცოცხლის ბოლო წლები აქ გაატარეს.



ათონის ივერთა
მონასტერი
(საერთო ხედი)

ბერად აღკვეცილ თორნიკეს, როგორც ჩანს, უჭირდა შეგუებოდა მონასტრის სიმყუდროვეს. ის უფრო წარსულის მოგონებებით ცხოვრობდა და როგორც კი მსმენელს იპოვიდა, იწყებდა საინტერესო საბრძოლო ეპიზოდების თხრობას. ძველი მეომარი ალბათ დროდადრო ჩუმ-ჩუმად ეფერებოდა თავის ჯაჭვ-მუზარადს, რომელიც იქვე სენაკში ჰქონდა შენახული, თუმცა ის ბერისთვის სრულიად შეუფერებელი იყო.

თორნიკეს თავის აშენებულ მონასტერში დიდხანს აღარ უცოცხლია, მრავალ ბრძოლასა და ჭირში გამოვლილი ყოფილი მეომარი მალე გარდაიცვალა და ივერთა მონასტრის კედლებში ჰპოვა საუკუნო ძვალშესალაგი. მისი ჯაჭვ-მუზარადი ათონის სავანეში დღესაც დაცულია, როგორც ივერთასი რელიკვია, რომელსაც სიამაყით უჩვენებენ საპატიო სტუმრებს. მონასტრის წიგნთსაცავში დაცულია აგრეთვე ქართული ბიბლიის უძვირფასესი ხელნაწერი, გადაწერილი თორნიკეს დაკვეთით ოშკში 978 წელს. დღემდე შემოგვენახა თორნიკეს დაკვეთით გადაწერილი რამდენიმე სხვა შესანიშნავი ხელნაწერიც: „იოანე ოქროპირის ცხოვრება“, იოანე ოქროპირისა და ეფრემ ასურის ქადაგებათა კრებული „სამოთხე“, კიდევ სხვა კრებული „განძი“.

ეს წიგნები სხვადასხვა ქართულ სავანეში იყო გადაწერილი საგანგებოდ ათონის ივერთა მონასტრისათვის ჯერ კიდევ მის გახსნამდე, ივერონის დაარსების შემდეგ კი თვით მის კედლებში გაჩაღდა დიდი ლიტერატურული საქმიანობა: წიგნების თარგმნა, გადაწერა, შემოქმედებითი მოღვაწეობა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა იოანე მთაწმიდელის შვილი, ქართული და ბერძნული ენების ბრწყინვალე მცოდნე ეფთვიმე. „შვილო ჩემო, ეუბნებოდა მას მამა, ქართლისა ქვეყანაი დიდად ნაკლულევან არს წიგნთაგან და მრავალნი წიგნნი აკლან, და ვხედავ. რომელ ღმერთსა მოუმადლებია შენდა. აწ ილვაწე, რაითა გახამრავლო სასყიდელი შენი ღმრთისაგან“. ეფთვიმეც კარგად გრძნობდა ამ სიტყვების სიმართლეს, თავაუღებლად მუშაობდა და ქართულ მწერლობას ამდიდრებდა ბრწყინვალე თარგმანებით. „იწყო თარგმნად და ყოველნივე განაკვირვნა, რამეთუ ეგევითარი თარგმანი, გარეშე მათ პირველთასა, არა-



ეროვნული ბიბლიოთეკა

რა გამოჩინებულ არს ენასა ჩვენსა და ვჰგონებ, თუ არღაცა გამოჩინებად არს“. წერს მისი ბიოგრაფი.

დაამთავრებდა თუ არა თავის რომელიმე შრომას ეფთვიმე, მის ერთ ნუსხას მაშინვე დავით კურაპალატს უგზავნიდა საქართველოში, სადაც მას სწრაფად ამრავლებდნენ და ავრცელებდნენ.

მამის სიკვდილის შემდეგ, დაახლოებით 1005 წელს, ეფთვიმე მონასტრის წინამძღვრად აირჩიეს და მას ბევრი პრაქტიკული საქმე და საზრუნავი გაუჩნდა, რის გამოც ლიტერატურული საქმიანობისათვის დრო ცოტალა რჩებოდა. ის მაინც, როგორც ბიოგრაფი გადმოგვცემს, „შრომასა თარგმანებისასა არა დააცადებდა, არცა სცემდა განსვენებასა თავსა თვისსა, არამედ ყოვლადვე იჭირვინ და ღამეთა ათევნ, რამეთუ უფროსნი წიგნნი ღამით სანთლითა უთარგმნიან ფრიადისა უცალოებისაგან და საურავთა“. ცხადია, მისი ლიტერატურული მუშაობის ნაყოფიერება მაინც ადრინდული ვეღარ იქნებოდა. ამიტომ, მეგობრებისა და თანამშრომლების რჩევით, ეფთვიმემ თოთხმეტი წლის შემდეგ თავი დაანება წინამძღვრობას და კვლავ მთლიანად და გატაცებით დაუბრუნდა მთარგმნელობით საქმიანობას.

აღსანიშნავია, რომ ეფთვიმე არა მარტო ბერძნულიდან თარგმნიდა ქართულად, არამედ ქართულიდანაც თარგმნა ბერძნულად „რაოდენნიმე წერილნი“, კერძოდ, „ბალავარი“ და „აბუკურა“. საერთოდ, მისი მთარგმნელობითი მოღვაწეობა მეტად ფართო და მრავალმხრივია. არ არსებობს რომელიმე დარგი საეკლესიო მწერლობისა, რომ ეფთვიმეს არ ეთარგმნოს ესა თუ ის თხზულება.

ეფთვიმე მთაწმიდელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიგურაა ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ისტორიაში. მისმა მრავალრიცხოვანმა თარგმანებმა სათავე დაუდეს ახალ ეტაპს ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში, ახალი გეზი მისცეს მას.

ეფთვიმე ჯერ კიდევ მხნე და ჯანმაგი მოხუცი იყო, როცა უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა, — ჯორიდან ჩამოვარდა და გარდაიცვალა 1028 წლის 13 მაისს. დაკრძალულია ივერონში იოანე ნათლისმცემლის ტაძარში.

შემდგომში ეფთვიმეს წამოწყებულ საქმეს ბრწყინვალე გამგრძელებელი აღმოუჩნდა გიორგი მთაწმიდელის სახით, რომელსაც მისი ბიოგრაფი ოქროს მდნობელ ხელოვანს ადარებს. მართლაც, მისი გონების ბრძმედში გამოიარა ქართული სიტყვის ოქროს მადანმა. მან თარგმნა მანამდე ქართულად უთარგმნელი თხზულებები, შეასწორა სხვების მიერ არაზუსტად თარგმნილი ან გადამწერთა ხელში დამახინჯებული თარგმანები, სრულად თარგმნა ეფთვიმეს მიერ შემოკლებულად თარგმნილი ძეგლები, ბევრიც ბერძნულ დედნებს შეუდარა და დააზუსტა, მათ შორის თვით ოთხთავისა და პავლეს ეპისტოლეთა ტექსტი, მოგვცა მათი ახალი, საბოლოო რედაქცია, რომელსაც შემდგომ არავითარი რევიზია აღარ განუცდია.

გიორგი მთაწმიდელის თარგმანთა რაოდენობა ისე დიდია, რომ ერთი კაცისაგან მათი თარგმნა კი [illegible] დაწერაც გასაკვირიაო, — ამბობს ბიოგრაფი, — გონებლადცა დიდ არს, ვითარმცა ეაოდენნი წიგნნი ერთმან კაცმან მზანი თარგმნილნი ცხოვრებასა შინა თვისსა აღწერნა, არა რომელმცა ბერძნულისაგან სრულიად თარგმნაო“.

გარდა თარგმანებისა, გიორგი მთაწმიდელის კალამს ეკუთვნის ორიგინალური თხზულებაც — პირველხარისხოვანი ისტორიულ-ლიტერატურული ძეგლი — „ცხორება იოვანესი და ეფთვიმესი“.

ფრიად საყურადღებო და მნიშვნელოვანია ამ დიდი მწერლისა და მთარგმნელის პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული პრაქტიკული მოღვაწეობაც: მისი ბრძოლა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის დასაცავად, საეკლესიო და საერო ცხოვრების მოსაწესრიგებლად და მახინჯ მოვლენათა აღმოსაფხვრელად.

გიორგი მთაწმიდელიც თორმეტი წლის განმავლობაში ივერთა მონასტრის წინამძღვარი იყო, მანამდე კი ორ წელიწადს — დეკანოზი. ის გარდაიცვალა 1065 წლის 29 ივნისს, როცა 56 წლისა იყო. დაკრძალეს ივერონის მთავარ ტაძარში — კათოლიკონში.

ასე დასრულდა ათონზე დიდი მთაწმიდელების მოღვაწეობის ბრწყინვალე ეპოქა, რომელმაც თითქმის ერთ საუკუნეს გასტანა და ქართული კულტურა გაამდიდრა უჭკნობი ლიტერატურული ძეგლებით

დამაარსებელთა სურვილის მიხედვით, ივერონში მხოლოდ ქართველებს უნდა ევაწათ, მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო ეს შეუძლებელი აღმოჩნდა და მონასტერში თავიდანვე მიიღეს რამდენიმე ბერძენი. მერე და მერე ბერძენი ბერების რიცხვმა იმატა, მათ თანდათან შეავიწროვეს მონასტრის ძმობა და ბოლოს სულაც ამოაკვეთინეს ფეხი ქართველებს მათი „ფრიადითა ოფლითა და ღვაწლითა“ აშენებული, თორნიკე ერისთავისა და იოანე მთაწმიდელის მიერ დაარსებული სავანიდან.

გასული საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან ჩვენი საუკუნის დამდეგამდე სხვადასხვა დროს ათონზე ქართული ხელნაწერების აღსაწერად და შესასწავლად იმყოფებოდნენ ჩვენი გამოჩენილი მეცნიერები: პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი, პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი, აკადემიკოსი ნიკო მარი. საჭირო იყო ამ ხელნაწერების უფრო გულდასმით შესწავლა და გამოცემა, მაგრამ ქართველ მკვლევარებს დიდხანს ამის საშუალება არ ეძლეოდათ. ახლახან ამ მხრივ მდგომარეობა გამოსწორდა: ახალგაზრდა მეცნიერი ავთანდილ მიქაბერიძე, კინორეჟისორი გურამ პატარაია და კინოოპერატორი ირაკლი ონოფრიშვილი იყვნენ ათონზე, გადაიღეს ყველა ქართული ხელნაწერის მიკროფილმი და ჩამოიტანეს საქართველოში. ამ მიკროფილმების შესწავლა უთუოდ დიდად გაამდიდრებს ჩვენი ძველი მწერლობის ისტორიას და ახალი ცნობებით შეავსებს თვითონ ათონის ივერთა სავანის ისტორიასაც.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# თუშეთი



## დღეის და ხვალის

მანანა გელაშვილი
ფოტო
ზაზა შავიანიძისა

ახლა თუშეთის სოფლები დიდთოვლიანობის მოლოდინში არიან გალურსულები. ჩამცხრალი მოედინება ორივე ალაზანი გომეწრისაც და პირიქითაც. ჩაქრა სიპებზე ვერცხლად აელვარებული მზე, ქანგისფერი ბებერი კოშკები ზამთრის ძილისთვის ემზადებიან.

შირაქისკენ გარეკეს ცხვარი თუშმა მეცხვარეებმა, კვლავ გაჰყვა ფარებს თოთხმოცდაერთი წლის დავით ხეცოიძე, ცხვარში გათეთრებულ მწყემსს კვალში ჩაუდგნენ წლევანდელი მეცხვარის ზეიმზე ნაკურთხი მწყემსები — გოჩა ანთაიძე, ნუგზარ ელიზბარიძე, გია ხოკერაშვილი და სხვა დანარჩენი ოცდაათი ყმაწვილი, ვინც კომკავშირული საგზურით მოვიდა წელს ცხვარში.

უკვე ჩამოურიგეს ბებიებმა მთაში დაქსოვილი ჭრელ-ჭრელი წინდა-ჩითები შვილიშვილებს.

კარგა ხანია სკოლას მიაშურეს თუშმა ბალღებმა თორღვაიძეებმა, იჭირაულებმა, ქაძეებმა, ბაშინურიძეებმა, ლუხუმაიძეებმა, უთურგაიძეებმა, ცისკარიშვილებმა, ოდოიძეებმა, ვარდიძეებმა, ოშორიძეებმა, ბელადიძეებმა, მამა-პაპებთან ერთად რომ უდგნენ ცხვარს, უბელო ცხენით რომ დაჭენაობდნენ აღმართ-დაღმართებზე, მთელ ზაფხულს ასე რომ აყრიამულებდნენ ომალოს, შენაქოს, დიკლოს, ბოჭორნას, ალისგორს, ბეღელას, დოჭუს, ჯვარბოსელს, დართლოს, ჭეშოს, ფარსმას, გირევს, ილურთას...

ახლა, ალბათ პატარა გია აფთარაულს საზაფხულოდ გადახოტრილ თავზე კარგა დიდი ქოჩორი მოეზარდა დღ აღარც ხელ-პირი აქვს ჟოლოთი მოთხუპნული, უკვე ისიც სკოლაში დადის, ზემო ალვანის საშუალო სკოლაში და უკვე ახლავე მომავალ ზაფხულზე ოცნებობს.



დართლო თუშეთის ერთ-ერთი ულამაზესი სოფელია.

სწორედ გია იყო, პირველი რომ შემოგვეგება ზღაპრისა თუ სიზმრიდარ დართლოში, კოცონთან რომ მოგვიცოცდა საღამოს პირს და ალაზნის სიახლოვეს გაშლილი ჩვენი კარვების შემხედვარემ შეწუხებულმა გვითხრა: „აქ ღამ-ღამობით ცივა და არ დაეივდეთო“, მერე გამომშვიდობებისას რომ გაგვაფრთხილა: „წყალში არ ჩახვიდეთ, ალაზნის დედამ არ წაგიღოთო“.

არც „დავეყიებულვართ“ და არც „ალაზნის დედას წავუღივართ“ აგვისტოს იმ ორიოდ კვირაში, თითქმის ნახევარი თუშეთი ფეხით რომ მოვიარეთ. მოვიარეთ და ვირწმუნეთ, რომ სულ მოკლე დროში არნახულად აღორძინდება და გაძლიერდება თუშეთი, მოშლილ ფუძეზე დაბრუნდებიან ბარად ჩამოსახლებული თუშები და მხოლოდ ზაფხულის სამი თვით კი არა, სამუდამოდ ჩადგება სიპით ნაშენ დარდმორეულ სახლებში სითბო, აღარ იქნება თუშეთს ნასოფლარები...

ახლავე თვალსაჩინოდ ატყვია მთათუშეთს რესპუბლიკის ხელმძღვანელობის გაძლიერებული ყურადღება

ზრუნვისა და ხელშეწყობის კეთილი შედეგები სამანქანო გზა ახლა ომალომდე ადის; რეგულარული ხასიათი მიიღო საჰაერო მიმოსვლამ; შარშან შეიქმნა და დღითიდღე ძლიერდება თუშეთის მეცხოველეობის სა-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს შენაქოა, თავისი სიპით გადახურული სახლებით.



ბჭოთა მეურნეობა; დღეისთვის მეურნეობის ანგარიშზეა რვა ათასამდე სული ცხვარი და სამასზე მეტი სული მსხვილფეხა საქონელი. მეურნეობას ორას ორმოცდაათი თანამშრომელი ჰყავს; ომალომდე ააღწია მაღალი ძაბვის ელექტროხაზებმა; იმავე ომალოში გამოყვანილია სასმელი წყალი; მარტო წელს თუშეთში 41 ჰექტარი ყამირი მიწა მოიხნა, რომელზეც პირუტყვის საკვები კულტურები დაითესა; დღიდან მეურნეობის შექმნისა ომალოს სასოფლო საბჭოს რვა კომლი შეემატა და დღეს იგი 46 კომლს ითვლის; აღდგა ყველა ნაფუძვარი ადრე მიწასთან გასწორებული ხისოს ჭალაში, ჭიღოში, გირევში, ცოკალთაში, თუშეთის სოფლებში ცისფერი ეკრანი აციმციმდა...

ეს — რაც უკვე გაკეთდა. ახლა რამდენი რამ გაკეთდება მომავალში?!

— სინათლე შეაღწევს ხახაბოსა და დიკლოში; აშენდება 400 სულისთვის განკუთვნილი მსხვილფეხა პირუტყვის ფერმა; ომალოში აშენდება ორსართულიანი სკოლა-ინტერნატი ასი ბავშვისათვის; დაიწყება გზის მშენებლობა გომეწრის მიმართულებით, რომლის საერთო სიგრძე 30 კილომეტრი იქნება; აშენდება საბაგირო გზა ომალო — შენაქო, ნაკრძალებად გამოცხადდება უნიკალური სოფლები — დართლო, შენაქო, დოჭუ, ფარსმა; გაუმჯობესდება მეცხვარეთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები; მომრავლდება ხვავი და ბარაქა, სრულად ამოქმედდება სოფლის მეურნეობის, კერძოდ, მეცხოველეობის დიდი რეზერვი — ეს მთიანი კუთხე, რომ სულ მალე ექნებათ თუშებს.

ყოველივე ეს სიკეთე, ამაზე მეტყველებს იმათი მოწადინებული და თავდადებული გარჯა, ვის ხელთაც არის თუშეთის განახლება-აღორძინება. პირველ რიგში კი გზის მშენებლობისა და მაღალი ძაბვის ხაზების გამყვანთა ვაჟკაცური და თავდადებული შრომა. აწორედაც რომ, ვაჟკაცური და თავდადებული. სხვანაირად ვერ ააღწევდა ომალომდე ეს გზა, რომელსაც სულ ოთხ-ხუთ საათში ფარავს მანქანა; ვერ გაიჭიმებოდა ხეობის გარდი-გარდმო სამასი მეტრის სიმაღლეზე ეს მსხვილი ტროსები, რკინის კონსტრუქციული ბოძების მაგივრობას რომ ასრულებენ, და, აშკარაა, ვერც აქაურობის აღორძი-



გადახვალთ ამ პატარა ხიდს და უკვე დართლოში ხართ.



ქ. მარქსის სახ. ... სსრ
სახელმწიფო ... ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ყაყაჩო

ვიოლა ნიკოლაიშვილი

ყაყაჩოსა თურმე წინათ თეთრი კაბა ემოსა,
ქალწულივით სილამაზეს ჰფენდა გარეშემოსა.
მაგრამ ერთხელ მტრის ღრუბელმა ლურჯი ზეცა
დაბინდა
და ქართლიდან ქუდზე კაცი საომარად გაფრინდა.
ვერაგ დუშმანს შეერკინენ ლომებივით ვაჟები;
ბრძოლის ალში დაილევენთა ბეგთარ-მუზარადები.
**მომხდურებმა სძლიეს დამხდურთ, დაულეწეს
ჯავშანი,**
**რადგან ასჯერ მეტი იყო მტაცებელთა ლაშქარი.**
ყველა მოკვდა ბრძოლის ველზე, ცოცხლად ერთიც
არ დარჩა,
მათი სისხლით შეღებილი ყაყაჩო კი... გადარჩა.
ბერის ლოცვამ, დედის ცრემლმა, ერის ცრემლმა
წკრიალამ
იგი შემდეგ წმინდა შუქის ფერით ააბრიალა;
კვლავ ლამაზად ყელყელაობს ველზე წითლად
გაშლილი —
წინაპართა უკვდავ სულის სანუკვარი აჩრდილი.

## სოფელში

მარიკა თანიაშვილი

ყანის ნათესებს ამოვყევ,
რამდენი შემხვდა ჭეჭველა,
მე ჩემი ოდა-სახლ-კარი
სულ სხვანაირი მეჩვენა.

რასაც კი სიზმრად ვხედავდი,
სულ ყველა ცხადად ამიხდა —
ჩემი სოფელი. ლამაზი,
ბარაქიანი დამიხვდა.

სადღვებელაში — კარაქი,
მტრედებით სავსე გალია;
გამოფენილა ეზოში
კრუხი. წიწილა, ვარია.

ჭიშკართანა თვლემს მურია.
**ფარეხში ლამენათევი,**
გეჯის წყალს დაწაფებულა
ხვადაგი ნაბალახევი.

ნება წარიმართებოდა ასეთი ტემპით.

შარშან, 11 ივლისს ომალოში გამართულ საყოველთაო-სახალხო ზეიმზე ადგილობრივი სკოლა-ინტერნატის დირექტორმა ილია ქავთარაშვილმა თქვა: „ოცდაცხრამეტი გაუკაცრიელებული სოფელი. ოცდაცხრამეტი ჩამქრალი კერაა თუშეთში. ოცდაშვიდი წლის წინათ. როცა ჩვენი სკოლა გაიხსნა, აქ ას ოცდაშვიდი ბავშვი სწავლობდა. მერე ათიც აღარ დაგვრჩა. დღეს კი ისევ სავსეა კლასები. მაშასადამე. ისევ მშობლიურ ბუდეს მოაშურეს თუშებმა. კვლავ სიცოცხლე ღვივის ჩვენში, არ ჩამქრალა და არც ჩაქრება! დღეს თუშეთი მეორედ დაიბადა!"

სწორედაც რომ, სკოლაში ბავშვების სიმრავლე ერთ-ერთი უპირველესი ნიშანია განახლებისა და სიცოცხლის დაბრუნებისა, ხოლო საქმე ისე მიდის, რომ მალე, ალბათ, ომალოს სკოლა-ინტერნატის ახლანდელი შენობა კი არა, სამომავლოდ დაგეგმილიც კი ვეღარ დაიტევს მომრავლებულ გოგო-ბიჭებს. ჩვენც ხომ ეს გვინდა! და ვინ იცის, იქნებ ჩვენი ნაცნობი გია აფთარაულიც ერთ-ერთი პირველთაგანი დაუბრუნდეს სამუდამოდ საცხოვრებლად წინაპართა გვირილაგადავლილ საგაზრდილოს და სამუდამოდ დაუბრუნოს სიცოცხლე სითბოდაცლილ სიპით ნაშენ-გადახურულ მამა-პაპისეულ სახლს.



მთა-თუშეთის მწვანედ მოლალანე იალალები.

# უშიშრობის გაკვეთილი

**ვესელინ ხანჩევი**
ბულგარელი პოეტი

მხატვარი თ. ფხაკიძე



იგი ყველაზე კარგი
მოსწავლე იყო კლასში

იჯდა სულ პირველ მერხზე,
მარცხნივ, ფანჯარის გვერდით.
იყო მორჩილი ტანის;
ვითარცა ცეცხლის ალი,
ჰქონდა ლამაზი თმები,
ლაწვებზე ენთო ჭორფლის
თანავარსკვლავთა წყება.

იყო ყველაზე კარგი
მოსწავლე,
მუდამ მშვენივრად
იცოდა გაკვეთილები.
ის პასუხობდა ზუსტად, მკაფიოდ,
იგი არ სდუმდა, როს პედაგოგი
კლასში კათედრიდან
ისროდა კითხვებს:
— ვინ მეტყვის, რომელ მეფეებს
იცნობს
ბულგარეთის მეორე სამეფოდან?
— თქვით, რას მივიღებ, თუ კი
ნატრიუმს
სამ მოლეკულა ვერცხლს
დავუმატებთ?

იგი ყველაზე კარგი
მოსწავლე იყო კლასში.

მაგრამ ერთ დღეს,
მოულოდნელად,
კლასში შემოვიდა ოფიცერი,
თითი გაიშვირა მერხისაკენ,
მარცხნივ, ფანჯარის გვერდით,
და თქვა:
— შენ, პირველ მერხზე მჯდომო
დაფასთან მოდი ჩქარა
და ჩემს კითხვებზე ცოცხლად
სრული პასუხი მომეც.

ეს იყო გაკვეთილი წამებისა.

კედლიდან,
თითქოსდა ციხის შავი
კაზემატებიდან,
იყურებოდნენ ბოტევი, ლენსკი,
ხოლო ცარიელი მერხიდან
შიში ცდილობდა კარნახს.

— ვინ არიან, ვისთან მიდიოდი
საიდუმლო შეხვედრის ადგილზე?
— სად არის ბინა,
რომელშიაც შენ მათ ხვდებოდი?
— იქ რა გადმოგცეს?
— ვისთან წაიღე?

და ეს იყო უშიშრობის გაკვეთილი

და ასე მივიდა დაფასთან
ის, კლასში ყველაზე კარგი და
ყველაზე ბეჯითი მოწაფე.
და მისი თმები,
როგორც დილის მზე,
ელავდა დაფის
კუპრისფერ ცაზე,
ცარცის ღრუბლების ქვემოთ.
და მისი სახე,
დაფარული ოქროსფერ ჭორფლით,
იყო მშვიდი და იყო ნათელი.

ის იყო ყველაზე ბეჯითი,
ყველაზე უკეთესი კლასში.

მაგრამ ახლა
ყველა შეკითხვას
დუმილით პასუხობდა.
სდუმდა,
როდესაც კლასიდან გაიყვანეს,
სდუმდა,
როდესაც კედელთან დააყენეს
სადღაც მიყრუებულ ადგილზე,
როდესაც უკანასკნელ ზარის ხმად
გაისმა შაშხანის სროლა.

ის იყო ჩინებული მოწაფე.
და იგი სდუმდა.
და მან ფრიადზე ჩააბარა
უკვდავების გამოცდა.

თარგმნა
**თეიმურაზ ჯანგულაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დიდება, სამშობლოვ,
შენ თავისუფალო,
ხალხთა მეგობრობის
ბურჯი ხარ შენ!**






ჩვენი სტუმარია
ბელორუსიის სსრ
საბავშვო ჟურნალი
„ბიაროზკა“

# წარწერა მარმარილოზე

### მიხეილ დანილენკო

დნეპრი აქ შორს უხვევს და თითქმის კოლმეურნეთა სახლებამდე აღწევს. ათეული და ასეული წლების მანძილზე რეცხავს მძლავრი მდინარე ციცაბო მარჯვენა ნაპირს. იქ, მოლით დაფარულ ნაპირზე, მარმარილოს საფლავის ქვესთან მარადიული ცეცხლი ანთია. ანთია შემოდგომის ღამეებშიც, როცა მაღლა ცაში მსხვილი ვარსკვლავები კიაფობენ, და მაისის დღეებშიც, როცა ვაზაფხულის სილურჯეში ზარებივით წკრიალებენ ტოროლები. მოგიზგიზე ცეცხლი მდინარის მოპირდაპირე მხრიდანაც მოჩანს — იქ უკრაინაა.

ყოველთვის, მაისის ნათელ დღეს, ამ მემორიალთან ხალხი მოდის. დუმილით იგონებენ იმათ, ვინც ამ გაზაფხულს ვერ მოესწრო და სამუდამოდ დარჩა აქ, დნეპრის მაღალ ნაპირზე, სადაც ოდესღაც მძვინვარე და სასტიკი ბრძოლები მიმდინარეობდა, ღმუილით დაფრინავდნენ თვითმფრინავები და ღამღამობით გავარვარებულ ცას ტყვიების ცეცხლოვანი კვალი სერავდა.

მემორიალთან ადგილობრივი სკოლის მოსწავლეთა საზეიმო ხაზი მოეწყო. ახალგაზრდა მასწავლებელი ღელავდა: რაიონის ცენტრიდან შეატყობინეს, რომ შეხვედრას დაესწრებოდა საქართველოდან ჩამოსული სტუმარი.

— ნატაშა, ყელსახვევი გაისწორე, — უმეორებდა იანინა პეტროვნა ქერანაწნავიან გოგონას. ამ ნათელ დღეს ნატაშა და მისი მეგობრები თავს ბედნიერად გრძნობდნენ. სწორედ მათ, იანინა პეტროვნასთან ერთად, გაგზავნეს ქვეყნის ყველა კუთხეში წერილები, შეკითხვებით მიმართეს სამხედრო არქივებს, მიმოწერა გააჩაღეს დივიზიის ვეტერანებთან, ყველასთან, ვინც ომის დროს ამ მხარეში იბრძოდა. ისინი ხომ უფრო და უფრო ცოტანი რჩებოდნენ.

ხშირად მასწავლებელი და მისი წითელყელსახვევიანი(?) ღებულობდნენ უსიხარულო ლაკონიურ ბარათებს: „ამას წინათ გარდაიცვალა“, „გულმა ვერ გაუძლო“, „ძალზე სურდა, თქვენთან, ბელორუსიაში ჩამოსვლა, მაგრამ გულმა უმტყუნა: ინფარქტი“.

მაგრამ სასიხარულოა, როცა შენი ყოველდღიური ზრუნვა უკვალოდ არ გაქრება! იანინა პეტროვნას ახსოვს, როგორ მოირბინა ერთ საღამოს ნატაშა რევიანოკმა მამასთან, სიტყვაძუნწ ტრაქტორისტთან ერთად.

— გადაცემაც ვერ მოვასწარი, — მოიბოდიშა ფედორ მაქსიმოვიჩმა, რომელსაც გაზინთული კომბინეზონი ეცვა — თითქმის ძალით წამომათრია.

— შეხედეთ, იანინა პეტროვნა! — გახარებულმა ნატაშამ მასწავლებელს კონვერტი გაუწოდა. — თქვენ დღისით შინ არ ბრძანდებოდით, ფოსტალიონმა წერილი კი სადილობამდე მოიტანა. თურმე თბილისელი ვახტანგ ბერიძე ყოფილა აქ დასაფლავებული.

მასწავლებელი დასცქეროდა მანქანაზე დაბეჭდილ სტრიქონებს და იცოდა, ეს კიდევ ერთი სახელია, რომელიც ფილაზე ამოიკვეთება. კიდევ

# პიონერული სიმღერა

### იაკუბ კოლასი

შვილები დიდი ქვეყნისა
ღიმილით დავიარებით.
ბედნიერება გველირსა.
ღია გვაქვს სკოლის კარები,
ცოდნისკენ მოგვიწოდებენ
ხმამოწკრიალე ზარები.
ყველა გზა ჩვენთვის ხსნილია,
ჩვენია მთები, ველები.
მზის გაცინებულ მიდამოს
ყიჟინით გადავევლებით,
თავს გვაწონებენ ნაწვიმზე
ფერადი ცისარტყელები.
ცხოვრებამ მოგვცა საგზური:
მიწაზე გზა გვაქვს მბრწყინავი,
თუნდა ცად შეინავარდე,
გახდი მამაცი მფრინავი,
ოღონდ გეძახდეს, მხოლოდ წინ!
მოწოდების ხმა მგრგვინავი.
უკრავს საყვირი, ჩაგვესმის
ურღვევი ფიცის სიტყვები.
ახალ სამყაროს დამცველებს
მუდამ ფეხდაფეხ მივყვებით.
შრომის და ბრძოლის ფერხულში
დაუზარელი ვიქნებით.

თარგმნა სტეფანე მხარგრძელმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ადამიანი გამოჰგლიჯეს ბნელ გაურკვევლობას. ეს მისმა მოსწავლეებმა — ნატაშამ და ნატაშას მეგობრებმა გააკეთეს...

ახლა კი ნატაშა რევიანოკი საზეიმო კოლონაში იდგა. მოპირდაპირე მხარეს, სადაც მარადიული ცეცხლი გიზგიზებდა, ბლომად იდგა ხალხი. ისინი მოვიდნენ დიდ-პატარა სოფლებიდან, ზოგი — ნავით, ზოგი — ბორანით. ამ ხალხში ნატაშას მამაც იდგა. იგი ჯერ პატარა ბიჭუნა იყო, როცა სკოლის მუზეუმს მოუტანა თავისი პაპის მოგონებები, რომელშიც აღწერილი იყო 1943 წლის ოქტომბერში ამ მიდამოებში გამართული ბრძოლები.

— აი, იქნებ გამოგადგეთ, — ჩუმად თქვა ფედიამ და მასწავლებელს მოსწავლის ხელით დაწერილი რვეული გაუწოდა. — ბაბუა მოტყდა, მაგრამ მეხსიერება მაინც კარგი შერჩა.

აღარ არის ამ ქვეყნად ნატაშას დიდი პაპა. იგი იმ სასაფლაოზე განისვენებს, რომელიც მდინარის გაღმაა, იქიდან გუგულის ხმა ისმის. ტანწერწეტა ფიჭვები და არყის ხეები ჩუმად შრიალებენ ჯვრებსა და სადა ძეგლებს შორის.

— მოდიან! — გაისმა ვიღაცის ხმა.

გზატკეცილზე მანქანა გამოჩნდა, მოახლოვდა და დადგა. სამხედრო კომისარიატის მაიორმა კარი გამოაღო და მაღალ შაოსან ქალს გადმოსვლაში დაეხმარა. ქალს შავ კოსტიუმში გამოწყობილი ყმაწვილი გადმოჰყვა.



ვ. ი. ლენინის სასკოლო მუზეუმი.

მიუხედავად იმისა, რომ წელგამართული, თანაც გამხდარი და ტანადი იყო, ქალს ასაკი მაინც ეტყობოდა, ეს შორეული მოგზაურობაც არ იქნებოდა მისთვის ადვილი. ხელში ცხვირსახოცი ეჭირა. შიგ რაღაც ჰქონდა გამოხვეული.

— ვახტანგის დედაა... ამ ჯარისკაცის დედა... აჩურჩულდა ხალხი.

ქალმა რაღაც ჰკითხა მაიორს.



პიონერთა პარადი მინსკში.



გმირთა მოედანზე გიზგიზებს მარადიული ცეცხლი.



საბჭოთა კავშირის გმირის მარატ კაზეის ძეგლი მინსკში.

— აი, აქ არის ამოკვეთილი მისი სახელი, — უპასუხა მან.

დედამ დაიჩოქა და სწრაფად მოსინჯა თითებით ფილაზე ამოკვეთილი სტრიქონი. და მაშინ იანინა პეტროვნაც და ყველა აქ მყოფნიც მიხვდნენ, რომ ქალი უსინათლო იყო. ის ცივ მარმარილოს დამჭკნარი ხელით ეფერებოდა და რაღაცას ჩურჩულებდა. იქნებ გონების თვალით თავის ონავარ ვახტანგს, თავის პაწია ბიჭუნას ხედავდა მშობლიური სახლის ერთი ოთახიდან მეორეში მორბენალს. ახლა კი აქ დასახლებულა...

ეროვნული ბიბლიოთეკა



ᲘᲐᲜᲙᲐ ᲙᲣᲞᲐᲚᲐᲡ ᲞᲝᲔᲛᲐ „ᲒᲝᲜᲓᲐᲠᲝᲕᲜᲐᲡ“ ᲘᲚᲣᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ. ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲘ Ე Ლ Ვ Ი Რ Ა Ე Უ Ტ Ი, ᲛᲘᲜᲡᲙᲘᲡ 50-Ე ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔ.

დედამ ცხვირსახოცი გახსნა და შვილის საფლავზე საქართველოდან ჩამოტანილი წინაპართა წმინდა მიწა მიმოფანტა.

მერე წამოდგა და რაღაც ჰკითხა შვილიშვილს.

— ბებია გთხოვთ, აჩვენოთ ისინი, ვინც მისი შვილის სახელი გააცოცხლა, — ხმადაბლა თარგმნა ყმაწვილმა. მაიორმა სტუმართან იანინა პეტროვნა და ნატაშა რევიაჩოკი მიიყვანა. გოგონამ იგრძნო, როგორ სწრაფად შეეხო თითები მის მხრებს, ხელებს, სახეს. ქალი ლაპარაკობდა, შვილიშვილი კი თარგმნიდა:

— ამიერიდან ბებია თქვენ თავის შვილად და შვილიშვილად გთვლით. ასეთია ჩვენი ქვეყნის უწმინდესი კანონი.

ქალი შვილიშვილს უსმენდა და ლაპარაკს განაგრძობდა.

—მისი მიწა—თქვენი მიწაა,—თარგმნიდა შვილიშვილი, თქვენ ყველანი კი მისი, სოფიკო ტაბიძის ახლობლები და ნათესავები ხართ. მართალია, გული მოუხუცდა, მაგრამ იგი ჯერ კიდევ მხურვალედ ძგერს თქვენდამი, თქვენი მშობლიური ქვეყნისადმი სიყვარულით.

...ცახცახებდნენ მარადიული ცეცხლის ალის ენები და სიჩუმეში ისმოდა, როგორ გალობდნენ ცაში ტოროლები და იძახდა გუგული.

## ყ ა ნ ა

მივუყვები ნაცნობ ბილიკს,
ყვითლად ღელავს ჭვავის ყანა.
არ მინახავს არასოდეს
სილამაზე ამისთანა.

ტალღასავით არხევს სიო
მზით დაფერილ მწიფე თავთავს.
თითქოს მღერის, თითქოს ყვება
**ნუთისოფლის ლამაზ ზღაპარს,**

უხარიათ ღიღილოებს,
მოუთმენლად მოელიან
მზის ამოსვლას ცის კიდურზე.
დილას ნათელსა და მზიანს.

ჭვავის ყანა მოლივლივე
მავსებს ფიქრით და ოცნებით.
**ბილიკს მივდევ, ვიხიბლები**
ჩვენი სოფლის საოცრებით.

ᲘᲜᲐ ᲤᲔᲓᲝᲠᲣᲙᲘ.
ოპადიშენსკის 8-წლიანი სკოლა.

ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲗᲐᲠᲒᲛᲜᲐ
Ნ Ა Ნ Ა Ფ Ა Ვ Ლ Ე Ნ Ი Შ Ვ Ი Ლ Მ Ა



ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲗᲐᲜ.



ᲡᲐᲡᲙᲝᲚᲝ ᲜᲐᲙᲕᲔᲗᲨᲘ



ᲒᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲝᲠᲙᲔᲡᲢᲠᲘᲡ ᲠᲔᲞᲔᲢᲘᲪᲘᲐᲖᲔ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# იპსილონი

ჰენს ლუიკი
ესტონელი მწერალი

მოთხრობა

მატვარი ი. ბარანოვა

— მოდის!.. მოდის!

— იპსილონი მოდის!

ჩვენ ჯგროდ მივცვივდით ყურთამდე ღია ფანჯრებს, თუმცა გაკვეთილების დაწყების ზარი უკვე დარეკილი იყო. ქუჩიდან ახლად შემოსული გაზაფხულის ისეთი სურნელი შემოდის, რომ მორიგე ფანჯრის დახურვას ვერ ბედავს. იქნებ, ისე ჩაგვიაროს, და მოხუცმა ვერც კი შენიშნოს...

მე ნახევრად გადავეკიდე ფანჯრის რაფას და ალბათ დავასკდებოდი კიდეც მოყინულ ქვაფენილს, ჩემს ზურგსუკან ბავშვების ზედახორა რომ არ დამდგარიყო. მოხუცი ადამიანის მოკლე-მოკლე ნაბიჯით მოდის თავიდან ფეხებამდე რუხი ფერის ტანსაცმელში ჩაცმული ადამიანი. თავზე მუქი რუხი ქვაბ-ქუდა ახურავს, ისეთი, როგორც ძველ კინოკომედიებშია ხოლმე. რუხი ფერისავე აქვს ჯაგარა ულვაშებიც. აცვია საგულდაგულოდ დაუთოებული შარვალი და რუხი ფერის, ისა, რა ჰქვია? — ჰო, გამაშები!

იპსილონმა მორყეულ ფილაქნიან საფეხურზე ფეხი შემოდგა. ნეტავ, რამდენ მოსწავლეს და მასწავლებელს უნდა აევლო სკოლის ეს ძველი კიბე, რომ მისი საფეხურები ასე გაცვეთილიყო და გასიპულიყო. მოხუცი ვესტიბულში მიიმალა. ღრმად შევისუნთქეთ გაზაფხულის ჰაერი და ჩვენ-ჩვენ ადგილებს დავუბრუნდით.

— ძლივსღა დაფამფალებს და მაინც კი არ მოშავდა?!

— ბუზღუნებს ვიღაც ჩემს ზურგს უკან.

სრული სიმართლეა.

იპსილონი შემოდგომიდან მოყოლებული ავადმყოფობს, მას ხშირად მათემატიკის მასწავლებელი ლოონე ცვლის პარალელური კლასიდან. რატომ ამჯერადაც არ დარჩა სახლში? მაინცდამაინც დღეს აპირებდა საკონტროლოს ჩატარებას. მის გაბერილ პორტფელში კი, რა თქმა უნდა, ჩვენი რვეულებია...

საკონტროლო ალგებრაში—ახლა, როცა, ეშმაკმა იცის, რა ხდება! პარკში ფერდობებზე მხიარულად მორაკრაკებენ პატარა ნაკადულები და ზათქით მოედინებიან შფოთიანი ნიაღვრები, ბეღურები გადარეულებივით აწყდებიან აქეთ-იქით... და თანაც ბოლო გაკვეთილზე, როცა ჩვენი ჭკუა-გონება აქედან ისე შორს დაქრის და ერთი სული გვაქვს, როდის გავიქცევით.

— სულაც ნუ დავწერთ საკონტროლოს — გადაჭრით თქვა ვიღაცამ. წარმოუდგენელი აურზაური ატყდა.

— ნუ დავწერთ!

— ვთქვათ, რომ ვერ მოვასწარით მომზადება.

— ვინ უთხრა. დაიგვიანეო, ნახევარი გაკვეთილი გასულია!

და ჩვენ ასე შევთანხმდით: ანნე, საყოველთაოდ აღიარებული ორატორი, გამოვა მთელი კლასის სახელით. და ყველა, როგორც ერთი, მხარს დაუჭერს მას. რა უნდა გვიყოს იპსილონმა?!

ჩვენ მეშვიდე კლასში ვსწავლობთ, ეს ისეთი ასაკია, როდესაც კლასი ძალზე ჭრელ შთაბეჭდილებას ტოვებს — ზოგი ბიჭი სიმაღლით უკვე ნამდვილი მამაკაცია და ისინი ერთმანეთში იმაზე ბჭობენ, რითი უკეთესია წვერის გაპარსვა — სამართებლით, თუ „კომბაინით“, სხვებს კი ჯერ ისევ მოკლე შარვლით სიარული შეეფერებათ, მაგრამ თაკილობენ. დარბაისლურ, ომახიან ბანებს შორის დროდადრო მამლაყინწური ხმებიც გაისმის ხოლმე. გოგონები კი თმებს ისე ოსტატურად იკეთებენ, რომ ეს არც მკაცრ სასკოლო წესებს ეწინააღმდეგება და ამავე დროს თმის ნამდვილ ვარცხნილობასავით გამოიყურება.

იპსილონი მათემატიკას მეოთხე კლასიდან გვასწავლის. იმთავითვე იგი ჩვენთვის იპსილონი იყო და არა მასწავლებელი იუპრუსი. ამოცანები კი... ამოცანები, რომლებსაც იგი ამოსახსნელად გვაძლევს! იპსილონი იშვიათად იშველიებს ჩვენი მათემატიკის სახელმძღვანელოს. იგი მეტწილად იმ გაცრეცილი წიგნებიდან გვკარნახობს, რომლის ყდაზე ჩახვეული ასოებით აწერია:

„ჰერბერტ იუპრუსი. არითმეტიკის სახელმძღვანელო ვაჟთა გიმნაზიებისათვის“.

ერთხელ მას იგი მასწავლებლის მაგიდაზე დარჩა. ო, ღმერთო ჩემო, რამდენი ვიხარხარეთ მაშინ!

„ორმა ვაჭარმა, ერთი ვაგონი ჩინური ჩაი გაიყო ისე, რომ ერთმა მათგანმა მიიღო X ფუთი, ხოლო მეორემ Z გირვანქა...“ ჩვენც აქედან გვიკითხავდა და თან გზადაგზა ახლებურად გადააკეთებდა ხოლმე: „ორმა... მმ... კოლმეურნეობამ... მიიღო ერთი ვაგონი ხელოვნური ნაკელი... ანუ მინერალური სასუქი...“

— შურისძიების საათი დადგა, მეგობრებო! — წამოვიძახე მე. მოკვდი, აგრესორო, ორიანებით რომ აგვავსე! — გავყვიროდი სისხლმოწყურებული.

— რა ჩაიფიქრე? — დაინტერესდა ჩემი მერხის მეზობელი, ციცქნა აადუ.

— თქვი! — მოაბრუნა თავი ჩემ წინ მჯდომმა უნმა.

— ატომური ნაღმი! — საზეიმოდ ვაცხადებ მე. — განმარტების დრო არ არის — უნდა ვიმოქმედოთ.

კუთხიდან სქელი ფიცრებისაგან შეკრული, მასიური სანაგვე ყუთი გამოვათრიე — კარის წინ დავდგი, მაგრამ ისე კი არა, იპსილონი ერთი შეხედვით მიმხვდარიყო, რომ ეს განზრახ იყო მოწყობილი, ნურას უკაცრავად, ყუთი კუთხით ისე დავდგი, თითქოს ვიღაცამ შემთხვევით გადააადგილა. ზუსტად გამოვითვალე: თუ მოხუცი პირქვე არ დაეცემა, ხმაურს მაინც დიდს გამოიწვევს. ჩვენ, რასაკვირველია, პირზე ხელებაფარებულნი ჩუმად სიცილს მოვყვებით და იპსილონს წამოდგომაში მივეხმარებით, მივაწვდით სათვალეს და ფარგალს. ყველაფერი ეს გაცილებით სახალისოა, ვიდრე ამოცანების ამოხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იპსილონი

ჰენს ლუიკი
ესტონელი მწერალი

მოთხრობა

მატვარი ი. ბარანოვა

— მოდის!.. მოდის!

— იპსილონი მოდის!

ჩვენ ჯგროდ მივცვივდით ყურთამდე ღია ფანჯრებს, თუმცა გაკვეთილების დაწყების ზარი უკვე დარეკილი იყო. ქუჩიდან ახლად შემოსული გაზაფხულის ისეთი სურნელი შემოდის, რომ მორიგე ფანჯრის დახურვას ვერ ბედავს. იქნებ, ისე ჩაგვიაროს, და მოხუცმა ვერც კი შენიშნოს...

მე ნახევრად გადავეკიდე ფანჯრის რაფას და ალბათ დავასკდებოდი კიდეც მოყინულ ქვაფენილს, ჩემს ზურგსუკან ბავშვების ზედახორა რომ არ დამდგარიყო. მოხუცი ადამიანის მოკლე-მოკლე ნაბიჯით მოდის თავიდან ფეხებამდე რუხი ფერის ტანსაცმელში ჩაცმული ადამიანი. თავზე მუქი რუხი ქვაბ-ქუდა ახურავს, ისეთი, როგორც ძველ კინოკომედიებშია ხოლმე. რუხი ფერისავე აქვს ჯაგარა ულვაშებიც. აცვია საგულდაგულოდ დაუთოებული შარვალი და რუხი ფერის, ისა, რა ჰქვია? — ჰო, გამაშები!

იპსილონმა მორყეულ ფილაქნიან საფეხურზე ფეხი შემოდგა. ნეტავ, რამდენ მოსწავლეს და მასწავლებელს უნდა აევლო სკოლის ეს ძველი კიბე, რომ მისი საფეხურები ასე გაცვეთილიყო და გასიპულიყო. მოხუცი ვესტიბულში მიიმალა. ღრმად შევისუნთქეთ გაზაფხულის ჰაერი და ჩვენ-ჩვენ ადგილებს დავუბრუნდით.

— ძლივსღა დაფამფალებს და მაინც კი არ მოშავდა?!

— ბუზღუნებს ვიღაც ჩემს ზურგს უკან.

სრული სიმართლეა.

იპსილონი შემოდგომიდან მოყოლებული ავადმყოფობს, მას ხშირად მათემატიკის მასწავლებელი ლოონე ცვლის პარალელური კლასიდან. რატომ ამჯერადაც არ დარჩა სახლში? მაინცდამაინც დღეს აპირებდა საკონტროლოს ჩატარებას. მის გაბერილ პორტფელში კი, რა თქმა უნდა, ჩვენი რვეულებია...

საკონტროლო ალგებრაში — ახლა, როცა, ეშმაკმა იცის, რა ხდება! პარკში ფერდობებზე მხიარულად მორაკრაკებენ პატარა ნაკადულები და ზათქით მოედინებიან შფოთიანი ნიაღვრები, ბეღურები გადარეულებივით აწყდებიან აქეთ-იქით... და თანაც ბოლო გაკვეთილზე, როცა ჩვენი ჭკუა-გონება აქედან ისე შორს დაქრის და ერთი სული გვაქვს, როდის გავიქცევით.

— სულაც ნუ დავწერთ საკონტროლოს — გადაჭრით თქვა ვიღაცამ. წარმოუდგენელი აურზაური ატყდა.

— ნუ დავწერთ!

— ვთქვათ, რომ ვერ მოვასწარით მომზადება.

— ვინ უთხრა, დაიგვიანეო, ნახევარი გაკვეთილი გასულია!

და ჩვენ ასე შევთანხმდით: ანნე, საყოველთაოდ აღიარებული ორატორი, გამოვა მთელი კლასის სახელით. და ყველა, როგორც ერთი, მხარს დაუჭერს მას. მაშ, რა უნდა გვიყოს იპსილონმა?!

ჩვენ მეშვიდე კლასში ვსწავლობთ, ეს ისეთი ასაკია, როდესაც კლასი ძალზე ჭრელ შთაბეჭდილებას ტოვებს — ზოგი ბიჭი სიმაღლით უკვე ნამდვილი მამაკაცია და ისინი ერთმანეთში იმაზე ბჭობენ, რითი უკეთესია წვერის გაპარსვა — სამართებლით, თუ „კომბაინით", სხვებს კი ჯერ ისევ მოკლე შარვლით სიარული შეეფერებათ, მაგრამ თაკილობენ. დარბაისლურ, ომახიან ბანებს შორის დროდადრო მამლაყინწური ხმებიც გაისმის ხოლმე. გოგონები კი თმებს ისე ოსტატურად იკეთებენ, რომ ეს არც მკაცრ სასკოლო წესებს ეწინააღმდეგება და ამავე დროს თმის ნამდვილ ვარცხნილობასავით გამოიყურება.

იპსილონი მათემატიკას მეოთხე კლასიდან გვასწავლის. იმთავითვე იგი ჩვენთვის იპსილონი იყო და არა მასწავლებელი იუპრუსი. ამოცანები კი... ამოცანები, რომლებსაც იგი ამოსახსნელად გვაძლევს! იპსილონი იშვიათად იშველიებს ჩვენი მათემატიკის სახელმძღვანელოს. იგი მეტწილად იმ გაცრეცილი წიგნებიდან გვკარნახობს, რომლის ყდაზე ჩახვეული ასოებით აწერია:

„ჰერბერტ იუპრუსი. არითმეტიკის სახელმძღვანელო ვაჟთა გიმნაზიებისათვის".

ერთხელ მას იგი მასწავლებლის მაგიდაზე დარჩა. ო, ღმერთო ჩემო, რამდენი ვიხარხარეთ მაშინ!

„ორმა ვაჭარმა, ერთი ვაგონი ჩინური ჩაი გაიყო ისე, რომ ერთმა მათგანმა მიიღო X ფუთი, ხოლო მეორემ Z გირვანქა..." ჩვენც აქედან გვიკითხავდა და თან გზადაგზა ახლებურად გადააკეთებდა ხოლმე: „ორმა... მმ... კოლმეურნეობამ... მიიღო ერთი ვაგონი ხელოვნური ნაკელი... ანუ მინერალური სასუქი..."

— შურისძიების საათი დადგა, მეგობრებო! — წამოვიძახე მე. მოკვდი, აგრესორო, ორიანებით რომ აგვავსე! — გავყვიროდი სისხლმოწყურებული.

— რა ჩაიფიქრე? — დაინტერესდა ჩემი მერხის მეზობელი, ციცქნა აადუ.

— თქვი! — მოაბრუნა თავი ჩემ წინ მჯდომმა უნმა.

— ატომური ნაღმი! — საზეიმოდ ვაცხადებ მე. — განმარტების დრო არ არის — უნდა ვიმოქმედოთ.

კუთხიდან სქელი ფიცრებისაგან შეკრული, მასიური სანაგვე ყუთი გამოვათრიე — კარის წინ დავდგი, მაგრამ ისე კი არა, იპსილონი ერთი შეხედვით მიმხვდარიყო, რომ ეს განზრახ იყო მოწყობილი, ნურას უკაცრავად, ყუთი კუთხით ისე დავდგი, თითქოს ვიღაცამ შემთხვევით გადააადგილა. ზუსტად გამოვითვალე: თუ მოხუცი პირქვე არ დაეცემა, ხმაურს მაინც დიდს გამოიწვევს. ჩვენ, რასაკვირველია, პირზე ხელებაფარებულნი ჩუმად სიცილს მოვყვებით და იპსილონს წამოდგომაში მივეხმარებით, მივაწვდით სათვალეს და ფარგალს. ყველაფერი ეს გაცილებით სახალისოა, ვიდრე ამოცანების ამოხ-

სნა, რომელთა პასუხებს სახელმძღვანელოს ბოლოში ვერც მოძებნი.

სამზადისი დამთავრებულია. აქა-იქ ჩახველება და ჩუმი სიცილი გაისმის. ჩვენ გავისუსეთ და ვიცდით.

ჩვენი კლასი დიდი ხანია იპსილონთან მტრულ დამოკიდებულებაშია. ერთხელ, მახსოვს, გამბედაობა მოვიკრიბეთ და პულთან წავედით, ესე იგი, დირექტორ პულისართან. დელეგაციაში შევდიოდით, თავისთავად ცხადია, მე, ჩემი მერხის მეზობელი (ჩვენ იპსილონთან მუდმივი უთანხმოება გვქონდა) — უნი, მეტსახელად „რგოლი“ (ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელი და ამიტომ ავტორიტეტი) და რა თქმა უნდა, ანნე, რომლის ენასაც ყველაზე ჩახლართული საქმის გამოსწორებაც შეუძლია და პირიქით — უფრო ჩახლართვაც — გააჩნია, იმ მომენტში რომელია საჭირო.

შორიდან დავიწყეთ: არ შეიძლება, ისე მოხერხდეს, რომ მასწავლებელი ლოონე, რომელიც ავადმყოფობის დროს იუპრუს მასწავლებელს ცვლის, სამუდამოდ დარჩეს ჩვენს კლასში? სხვაგვარად ჩვენ სკოლას ვერ დავამთავრებთ, იმიტომ რომ იუპრუსი სულ თავისთვის ბურტყუნებს. ისე, რომ პირველ მერხებზე მსხდომთაც კი სმენის დაძაბვა სჭირდებათ, ხოლო ბოლო მერხებზე საერთოდ არაფერი ისმის და რა გასაკვირია, რომ ორიანები ჩვენს კლასში ისე ცვივა, როგორც ვაშლები შემოდგომის ქარიან დღეებში.

ყველაფერს ამას უნი ამბობდა, მაგრამ ვინაიდან პულს ამაზე არავითარი რეაგირება არ მოუხდენია, საქმეში მე ჩავერიე. თითქმის იგივე გავიმეორე — სხვა რა უნდა მექნა?

დადგა ანნეს რიგი. მაგრამ, ეტყობა, პულმა იცოდა მისი ყბედობის ამბავი — უცებ შეაწყვეტინა: „ეს რა ლაპარაკია! ჩუმად ისხედით, და ყველაფერს გაიგონებთ“.

მაგრამ ანნეს შეჩერება აღარ შეიძლებოდა. არა, ნამდვილად ღირს ამ გოგონას მოსმენა! მაგრამ მაშინ მისმა გარჯამ ამაოდ ჩაიარა. ანნემ დაიწყო იმის შესახებ, რა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ელექტრონიკის და კიბერნეტიკის საუკუნეში მათემატიკას და როგორი პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდება მას ჩვენი კლასი. აქ კი პულმა ველარ მოითმინა: — ნუთუ არა გრცხვენიათ? მას ხომ ასე ძალიან უყვარს ბავშვები? წაბრძანდით და იცოდეთ, ასეთი ლაპარაკი აღარ გავიგონო.

წარგზავნილები გაწბილებულნი დავბრუნდით.

დიახ, იპსილონს უყვარს ბავშვები. ერთხელ, მგონი დაავიწყდა კიდეც, რომელ კლასში ატარებდა გაკვეთილს, დაფასთან ამოცანის სწორად ამოხსნისათვის ციცქნა აადუს თავზე ხელი გადაუსვა. ჩვენ ხითხითი ავიტეხეთ. ციცქნა აადუმ ყოველგვარი იუმორის გრძნობა დაკარგა, კბილები გააკრაჭუნა და მერხზე რომ დაჯდა, დაიფიცა მოხუცი მასწავლებლის სათვალისათვის შესაფერი კენჭი მოეძებნა. სხვა ამას არაფრად ჩააგდებდა, ციცქნა აადუ კი ვერ იტანს, როცა მას დაბალი ტანის გამო დასცინიან.

როგორც არ უნდა ყოფილიყო, იპსილონს შეეძლო პენსიაზე გასულიყო და ისე ჰყვარებოდა ბავშვები, ქვიშაში მოთამაშე პატარებთან ეტარებინა დრო. მ[illegible] სებობს სამართალი ამ ქვეყნად. თუ კი [illegible] ჩვენ ლოონეს გაკვეთილების გარეშე ვრჩებით? ლოონე, ჯერ ერთი, იუმორის გრძნობითაა დაჯილდოებული. მეორეც, მას მაგალითები მხოლოდ ტექნიკის სფეროდან მოჰყავს, და რაც მთავარია, იგი შესანიშნავად დარბის საშუალო დისტანციებზე. უნივერსიტეტში, რომელიც მან შარშან დაამთავრა, ზედიზედ იგებდა თასებს. იგი სულ ვარჯიშობს და თუ მას კარგად უპასუხებ, სტადიონზე თან წაგიყვანს. მართალია, ერთი წრის მეტს ჩვენ მის გვერდით ვერ ვძლებთ, მაგრამ ლოონესთან ვარჯიშზე სიარულიც კი უკვე რაღაცას ნიშნავს.

რაღა თქმა უნდა, გასაგებია, რომ ჩვენ ყოველნაირად ვცდილობთ სიცოცხლე გავუმწაროთ იპსილონს. იქნებ, ბოლოს მოხუცი თვითონვე მიხვდეს. ზოგჯერ ჩემში რაღაც სინდისის მსგავსი ილვიძებს. ასე რომ ვილაცას ჩემი ბაბუა ეწვალებინა... მაგრამ არა! იპსილონი სხვებს არ ჰგავს, ვიმშვიდებდი თავს.

ხანდახან საღამოობით ბაბუა თავის წარსულ ოინებს ყვება: „როცა მე ახალგაზრდა ვიყავი...“ იპსილონი კი მგონი არასოდეს არ ყოფილა ახალგაზრდა. იგი ალბათ, ჯერ კიდევ ჩვენი წინაპრების დროს დაფრატუნებდა სკოლაში ამ გზით, ძალების დაზოგვით, ყოველგვარი ზედმეტი მოძრაობის გარეშე ადიოდა კათედრაზე, დებდა დაფის კიდეზე ფარგალს და იწყებდა მოწაფეების მონოტონურად გამოძახებას.

მაგრამ რატომ ამდენხანს არ გამოჩნდა? პალტოს და ქვაბ-ქუდას საკიდზე დაკიდებას ამდენი დრო არ სჭირდება, თმას ის არ ივარცხნის — განა ისე როგორ უნდა აეწეწოს თმის სამი უკანასკნელი ღერი, იქნებ ამოცანების კრებული დარჩა სახლში და საკონტროლო არ გვექნება?

— ბიჭებო, აბა ერთი გაიგეთ, რა მოხდა?

აადუ და უნი დასაზვერად გაიქცნენ.

ერთ წამში მზვერავი ჯგუფი უკან დაბრუნდა. მასწავლებელთა გასახდელამდე მირბენალა მოასწრეს, იქიდან პული გამოვიდა, კიდევ კარგი, რომ ვერ შეამჩნია!

უცნაური ამბავია, ჩვენ გვეშინია პულის, თუმცა მას არავისთვის არაფერი ცუდი არ გაუკეთებია. დირექტორს ისეთი ყრუ და მქუხარე ხმა აქვს, რომ მისი შექებაც კი მუქარასავით ჟღერს. გარდა ამისა, მას, ამ მაღალ ზონზროხა კაცს, მასზე ტანით დაბალ ადამიანთან ლაპარაკისას ჩვეულებად აქვს აუცილებლად დაიხაროს და მოლაპარაკეს პირთან მიუტანოს ყური, მიკროფონის მსგავსად. ეს ყველაფერი გვაიძულებს ძალზე სერიოზულად ვიყოთ მისდამი განწყობილნი. აბა, როგორ შეეპასუხები: „არა, მე არ «ვყროყინებდი» მათემატიკის გაკვეთილზეო“, როცა დირექტორის მეხსიერებაში ყველა ჩვენი პასუხია აღბეჭდილი. დირექტორს ჩვენ განსაკუთრებულად ზრდილობიანად ვესალმებით, ხოლო მის გაკვეთილებზე ხალისიანად ვიწევთ ხელს ზევით. ეს ხომ არც ისე ძნელია: ისტორია საინტერესო საგანია. პულის ნაბიჯების ხმა უკვე ჩვენი გრძელი დერეფნის ბოლოში გაისმის. ერთიც ვნახოთ და იპსილონმა უამბო მას ჩვენს ოინებზე

ვნახოთ და, სულაც ჩვენს კლასში მოდის დირექტორი?

ეშმაკმა დალახვროს, სანაგვე ყუთი!

მე ელდანაკრავივით წამოვვარდი. მაგრამ გვიან იყო. კარი გაიღო, კლასში პული შემოვიდა... და სანაგვე ყუთს გადააწყდა.

დაძაბული სიჩუმე, ჩამოვარდა, ისეთი, რომ ბუზის გაფრენას გაიგებდით, ზამთრის ძილიდან გამოღვიძებულნი რომ ყოფილიყვნენ.

ჩემ წინ მჯდომმა უნმა მეხის გავარდნის მოლოდინში თავი მხრებში ჩამალა, მე ცუდმა წინათგრძნობამ ამიტანა. ჩვენდა გასაკვირველად პული სანაგვე ყუთისთვის, რომელსაც ის იყო ფეხი გაჰკრა, არც კი შეუხედავს, იგი მძიმედ გაემართა მასწავლებლის მაგიდისაკენ და ხანგრძლივი დუმილის შემდეგ მოულოდნელად დაბალი ხმით წარმოსთქვა:

— მათემატიკის გაკვეთილი არ გექნებათ.

ასე მეგონა, პული ამას რომ ამბობდა, მრავალმნიშვნელოვნად ჩემკენ იყურებოდა. ან იქნებ, უბრალოდ მომეჩვენა.

— შეგიძლიათ სახლებში წახვიდეთ.

ჩვეულებრივად ამისთანა განკარგულებას ხმამაღალი „ვაშა-ა-ა!“ მოჰყვებოდა ხოლმე. დირექტორი კი თითს ტუჩებთან მიიტანდა: „სუ-უუ!“-ო, მაგრამ შემდეგ ხელს ჩაიქნევდა ხოლმე, მალულად ჩაიცინებდა და სასწრაფოდ ტოვებდა კლასს.



დღეს კი კრინტი არავის დაუძრავს.

მისი სერიოზული გამომეტყველებით ჩვენ მივხვდით, რომ მას ჯერ ყველაფერი არ უთქვამს და რაღაც უბედურების მოლოდინში გავიტრუნეთ. არ ვიცი, რას გავიღებდი, ოღონდ კი უთქმელი დარჩენილიყო ის სიტყვები, რომლებმაც გარკვევით მიაღწიეს კლასის შორეულ კუთხეებამდეც კი.

— მასწავლებელი იუპრუსი მოკვდა.

როგორ? როდის? ახლახანს არ დავინახე ამ ფანჯრიდან? მთელი ჩემი არსებით ვეწინააღმდეგები გაგონილს. მოფრატუნებდა, ხელში საკონტროლო რვეულებით გატენილი პორტფელი ეჭირა. აი, თურმე, როგორ ხდება ეს...

მე ვიცი — როცა იქნება ყველა კვდება. პატარა რომ ვიყავი, მოკვდა ჩემი ბებია, მაგრამ მე ეს ამბავი არ მახსოვს. მე ბებია მხოლოდ გაცრეცილ ფოტოსურათზე მინახავს. იგი საბავშვო ეტლს მოაგორებს, რომელშიც ქუდიანი ბუთხუზა ბიჭი ზის — ეს მე ვარ. სიკვდილი — შემზარავი შავმოსასხამიანი ყვითელი ჩონჩხია ბიოლოგიის კაბინეტში, გვამებია ომის ამსახველ ფილმებში. ახლა კი მოკვდა ადამიანი, რომელსაც მე ვიცნობ. ვიცნობდი... ვიცნობდი კი?

პულისარის ნაბიჯების ხმა უკვე დერეფნის ბოლოში ისმოდა, როცა ჩვენ გონს მოვედით და ჩანთების ჩალაგება დავიწყეთ. ციცქნა აადუ შებრუნდა და რაღაც საეჭვო სლოკინს მოჰყვა. ჩვენ თითო-თითოდ მივდივართ გასახდელისაკენ. ჩვენ მასწავლებელთა გასახდელი უნდა გავიაროთ. იქ დიდი მაგიდა დგას, რომელზეც მასწავლებლები რვეულებს აწყობენ ხოლმე. კარებში თუ შეიჭვრიტავ, მიხვდები, იქნება დღეს საკონტროლო თუ არა. დღეს მე ვცდილობ იქით მხარეს არ გავიხედო, მაგრამ კარი ოდნავ ღიაა და მე ჩემდა უნებურად ცალი თვალით ვხედავ, რომ მაგიდაზე რუხპალტოგადაფარებული რაღაც სწორი და გრძელი დევს. ის... მასწავლებელი იუპრუსი არასოდეს არ ყოფილა ასეთი მაღალი. მაგრამ ეს ნამდვილად ისაა. უბრალოდ, ჩვენ ადრე ვერ ვამჩნევდით, როგორი იყო ის სინამდვილეში.

მე მხარით მივაწექი მძიმე გასასვლელ კარს და შემოსასვლელის სრიალა კიბეები ჩავირბინე.

აი, აქ, სკოლასთან, გაკვეთილების დაწყების წინ, ჩვენ ხელისგულების გაყინვამდე ვგუნდაობდით, ნუთუ ეს დღეს იყო? გაშავებული თოვლი კედლის ძირას აღარ გვიზიდავს.

ვიცი, რომ მდინარეს ახლა ლურჯი ყინულები მოაქვს. უყურე და იყავი, სანამ ყინული სივრცეში არ გაქრება, და მაშინ შენ შორეულ პოლარულ ზღვაში აღმოჩნდები. მაგრამ დღეს მდინარის მშვენიერებაც კი არ გვახარებს.

რაღაც დაგვემართა, რაღაც დაემართა არა მარტო იმას, ვინც მასწავლებელთა გასახდელში იწვა მაგიდაზე, არამედ მეც, ყველა ჩვენგანსაც.

დაუმშვიდობებლად, ჩვენ-ჩვენს ფიქრებში წასულნი, დავშორდით ერთმანეთს.

თარგმნა ეთერ თოხაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აისი
ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი № 11

## გავუფრთხილდეთ სასწავლო ნივთებს

ყველაფერი ის, რაც ადამიანს სჭირდება, ადამიანის ხელით, მისი დიდი შრომისა და გარჯის ფასად არის შექმნილი, ამიტომაც უნდა ყველაფერს გაფრთხილება. არ უნდა იხარჯებოდეს უქმად ელექტროენერგია, წყალი, გაფრთხილება უნდა წიგნებს, რვეულებს, სხვა სასწავლო ნივთებს. ამ თემაზე ჩვენ ხშირად გვისაუბრია კლასში, ახლა კი, როცა მთელს ჩვენს ქვეყანაში ასე გაძლიერდა მომჭირნეობისათვის ბრძოლა, ჩვენც გადაწყვეტილი გვაქვს უფრო მეტი გულისყურით მოვეკიდოთ წყლის, ელექტროენერგიის ხარჯვას, უფრო მეტად მოვუფრთხილდეთ სასკოლო ავეჯს, ჩვენს პირად სასწავლო ნივთებს.

მარინა გერგედავა,
გალის რაიონის მზიურის 1-ლი საშუალო სკოლა, VII კლასი.

## ძმის ხალათის სითბო

მეც მინდა ორიოდე სიტყვა ვუთხრა პიონერებს.

ღარიბი ოჯახი არა მაქვს, რადგან ჩემი მშობლებიც მშრომელები იყვნენ და არც მე და ჩემი მეუღლე ვართ გულხელდაკრეფილები. ხოლო თუ ხელის განძრევა არ გეზარება, დოვლათიც არ მოგაკლდება — ამას, მგონი, მტკიცება არ უნდა. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ შეძლებულად ვცხოვრობთ, შინ ყაირათიანობაზე ლაპარაკი არ მჭირდება, ჩემებმა პურის ყადრიც იციან, წყლისაც და ელექტროენერგიისაც — თავიდანვე შევუსისხლხორცე და იმიტომ.

ახლა ტანსაცმელი? ოთხი ვაჟი მყავს, თვალსა და ხელს შუა დაიზარდნენ, ამირანებივით. ისე სწრაფად აიყარეს ტანი, შარვალ-ხალათის დაძველებას ვერ ასწრებდნენ. მეც რა, ხომ არ გადავყრიდი, ავდექი და უფროსი ვაჟის გამონაცვალი მომდევნოს ჩავაცვი, იმისი — კიდევ უფრო პატარას და ასე შემდეგ. ბიჭები სიხარულითაც კი ატარებდნენ უფროსი ძმის გამონაცვალ შარვალს, ხალათს თუ პიჯაკს. იმ თანხას კი, რაც დაიზოგა, ისევ მათვე და ოჯახს ვახმარდი.

ვფიქრობ, არ უნდა იყოს ეს ურიგო მაგალითი ზოგიერთი თანამედროვე ოჯახისათვის.

რ. სისაური,
დიასახლისი.
ქ. აზმეტა.

## ასე გამოგვყავს საძირეები

ნაყოფიერად მუშაობს კონჭკათის საშუალო სკოლის ნორჩ ნატურალისტთა წრე. ბოლო დროს წრის წევრებმა დიდი მუშაობა გავწიეთ ხეხილის მყნობისათვის საჭირო საძირეების მოსამზადებლად. საძირეების გასამრავლებლად შევარჩიეთ გარეული ხილის თესლი, მომზადებული თესლები საძირეთა სანერგეში დავთესეთ, ხოლო ადრე გაზაფხულზე საძირეები გადავრგეთ სანამყენე განყოფილებაში. ჩვენს საქმიანობაში, როგორც ყოველთვის, დიდ დახმარებას გვიწევდა ზოოლოგიის მასწავლებელი ა. წიტაიშვილი. არც ჩვენ შეგვირცხვენია თავი. გულმოდგინედ იშრომეს გიზო და მაია მეავიებმა, ავთანდილ მიქატაძემ, ნანა ავაჭანტირაძემ და სხვებმა.

ლ. ჩანჩიბაძე,
მახარაძის რაიონის კონჭკათის საშუალო სკოლა, IX კლასი.

ჩვენი შემოქმედება

## ბელურა

ზამთარია, სიცივეა,
ცივი ქარი ქრის,
ბელურა კი მუხის ტოტზე
საცოდავად თრთის.
ვის შესჩივლოს იმ საწყალმა,
ვის მიმართოს, ვის,
კარს არავინ არ გაუღებს,
არ შეუშვებს შინ.
მებრალება, მეცოდება,
განწირულს რომ ვხედავ,
მინდა მხოლოდ ერთი წუთით
ვიყო მისი დედა.
მინდა გულში რომ ჩავიკრა
ჩიტი განაბული,
მინდა ისევ რომ გავუთბო
გაყინული გული.

ქეთევან ბინაძე,
წულუკიძის 1-ლი საშუალო სკოლა. III კლასი.



გია ციხცაძე,
რუსთავის 21-ე საშუალო სკოლა. I კლასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზაზა ბაქურაძე. თბილისის 22-ე საშუალო სკოლა, VI კლასი.

## გაგვიფრინდა ზაფხული

გაგვიფრინდა ზაფხული,
გაგვიფრინდა მზეწვია,
ხილეული დამწიფდა —
შემოდგომა გვეწვია.

მაკა ქინქლაძე,
თბილისი, 185-ე საშუალო
სკოლა, VI კლასი.

## შემოდგომა

წითელ-ყვითელ ფერებით
მოიქარგა მთა-ბარი,
ეს ხომ შემოდგომაა,
ლამაზი და მდიდარი.

სოფლად ყურძენს წურავენ,
დამკრახულსა, წითელსა,
ჩურჩხელებსაც ავლებენ
ტკბილად დაშაქრულებსა.

მსხალით, ვაშლით და კომშით
ავსებულა გოდრები,
შემოდგომის სიუხვით
ხარობს ჩვენი სოფლები.

იგორ ზაალიშვილი,
თბილისის 68-ე საშუალო სკოლა,
IV კლასი.

## უცხოური იუმორი

მიმდინარეობს გრამატიკის გაკვეთილი. მოსწავლეები აუღლებენ: მე ვარ ბეჯითი, შენ ხარ ბეჯითი, ის არის ბეჯითი, ჩვენ ვართ ბეჯითები, თქვენ ხართ ბეჯითები, ისინი არიან ბეჯითები.

შემდეგ მასწავლებელი საშინაო დავალებას აძლევს მათ: — აუღლეთ მე ვარ ავად.

მეორე დღეს მასწავლებელმა, შეამოწმა საშინაო დავალება. დადგა პაულის რიგიც. პაულ, გეთაყვა, მაჩვენე შენი რვეული.

პაულის რვეულში კი მხოლოდ ერთი წინადადება ეწერა: „ყველანი ავად არიან".

●

დედაკაცი ქალაქს ორ სახედარს მიერეკებოდა. მის დანახვაზე ორმა ბიჭმა შესძახა:

— გამარჯობა, სახედრის დედავ!

— გაგიმარჯოთ, ჩემო შვილებო, — უპასუხა ჭკვიანმა ქალმა.

გერმანულიდან თარგმნა
ჟულიეტა ნოზაძემ,
ქარელის რაიონის აგარის
საშუალო სკოლა, VI კლასი.

## პატარა ფეხსაცმელი

პატარა ნინიკოს დეიდა ჩამოუვიდა სოფლიდან. საჩუქრად ნაირ-ნაირი ტკბილეული და შუშის მძივები ჩამოუტანა. გაუხარდა გოგონას, ყელზე შემოეჭდო დეიდას და დიდხანს ეფერებოდა.

მეორე დღეს ლამზირა დეიდამ საყვარელი დისშვილი ფეხსაცმელების საყიდლად წაიყვანა. ფერად-ფერადი ფეხსაცმელებით აჭრელებულ მაღაზიაში გოგონა დეიდას გაექცა და ახალგაზრდა გამყიდველ ქალს დაუწყო ხვეწნა:

— აი, ისინი მომეცი, დეიდა, აი, ისინი! — პაწია თითით უჩვენა გამყიდველს პრიალა ფეხსაცმელზე.

— რომელი, გოგონა, ლურჯები? გაიზომე, პატარები ხომ არ გექნება?

ნინიკომ ჯიუტად გაიქნია ქერა კულულებიანი თავი და ახალი ფეხსაცმლის ჩაცმას შეუდგა.

— დეიდა გენაცვალოს, პატარა გექნება, ნახე, ცერი ზედა გაქვს მიბჯენილი. სხვები ვიყიდოთ, — ურჩია დეიდამ.

— არა, დეიდა, შენი ჭირიმე, მე ესენი მინდა, თან სულ არა მაქვს პატარა, ნახე, მიხდება კიდეც, — შესძახა ნინიკომ დეიდას და ფეხი ძირს დაადგა.

გოგონა ხტუნვა-ხტუნვით გავიდა მაღაზიიდან და დეიდაც გაიყოლა.

გახარებული ნინიკო ხელს არ ჰკიდებდა დეიდას, წინ მირბოდა და თან სულ ფეხსაცმელებზე იყურებოდა.

მაგრამ ცოტა ხანში ნინიკომ ნაბიჯს უკლო, ახალმა ფეხსაცმელებმა თითქოს შეაწუხაო, სახე მოეღრუბლა და ტკივილისაგან დამანჭული დეიდას ჩამოეკიდა ხელზე. სახლამდე ილაჯს მიაღწია, სიმწრისაგან თვალებზე ცრემლები მოადგა.

— აი, რამდენჯერ მითქვამს შენთვის, ტყუილს მოკლე ფეხები აქვს-მეთქი. — უთხრა დეიდამ.

— უჰ, დეიდა, ნეტავი, მეც ტყუილივით მოკლე ფეხები მქონდეს, მაშინ ეს ფეხსაცმელებიც ხომ არ მომიჭერდა, — ამოიოხრა საწყალობლად ნინიკომ.

ელისო ცომაია,
თბილისის მე-8 საშუალო სკოლა, IX კლასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იერიში! — ასაღებია სამი სიმაღლე

**რაზმი იძლევა პიონერულ სიტყვას. სიტყვის ერთგულება საქმით დაამტკიცე! — ამისათვის რას ჩათვლიდი აქტივისტის მოვალეობად?**

წლევანდელმა წელმა ახალი საზრუნავი გაუჩინა რაზმის საბჭოსა და მის თავმჯდომარეს — როგორ გაიაროს რაზმმა წარმატებით საკავშირო მარშის მარშრუტები ისე, რომ პიონერები კარგადაც სწავლობდნენ და პიონერულ საქმიანობაშიც აქტიურად მონაწილეობდნენ.

რაზმის თუ რაზმეულის მიერ მიცემული დავალების შესრულება, სიტყვის საქმით დამტკიცება ისეთ პიონერულ კოლექტივში შეიძლება, სადაც მუდამ ურთიერთგაგება სუფევს და უმრავლესობის ნება-სურვილით ეწყობა შეკრებებიც, ლაშქრობა-ექსკურსიებიცა და სპორტული ასპარეზობებიც.

რა თქმა უნდა, ძნელია, რაზმის საბჭომ ყველას სურვილი გაითვალისწინოს, ყველას მოაწონოს საბჭოს თავმჯდომარის წამოწყებული საქმე, ყველა აიყოლიოს წინასწარ დასახული გეგმის შესასრულებლად; ისე იმუშაოს, რომ პიონერებიც კმაყოფილი იყვნენ და საქმეც კეთდებოდეს. და სწორედ იმიტომ, რომ ძნელია, პიონერები საბჭოს თავმჯდომარეობას ყველაზე ავტორიტეტიან, ყველაზე ყოჩაღ, სამაგალითო პიონერს ანდობენ.

თუმცა დასამალი არ არის, რომ ყველა როდი ამართლებს ამხანაგების ნდობას. ზოგს გამოცდილება აკლია, ზოგი არ ითვალისწინებს რაზმის წევრთა სურვილებს, მისწრაფებებს... კიდევ მეტი, აგერ უკვე მესამე თვე დადგა, რაც ნორჩ ლენინელთა საკავშირო პიონერული მარშის პროგრამა გამოქვეყნდა და ზოგიერთი ჯერაც ვერ გარკვეულა, რა უნდა გააკეთოს რაზმის წინაშე აღმართული სიმაღლის დასაპყრობად. როგორ დაეხმაროს თანარაზმელებს იერიშის პროცესში. ზოგჯერ რაც თვითონ მოუვა თავში, იმას წამოიწყებს, და ამიტომ ხშირად არავინაც არ უბამს ხოლმე მხარს. თუ თითოეული პიონერი მხარში არ ამოუდგება მის არჩეულ რაზმის საბჭოს თავმჯდომარეს, საქმე ვერ




პიონერული აქტივის კლუბის მუშაობას ხელმძღვანელობს ნორჩ პიონერთა რესპუბლიკური საბჭოს წევრი, საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი

ნათელა ფაილოძე

## რაზმეული ძლიერია რაზმის საქმეებით

ეწყობა. თუ გვინდა საკავშირო პიონერული მარშის მარშრუტებზე წარმატებას მივაღწიოთ, პირველ რიგში საჭიროა დავეხმაროთ რაზმის საბჭოს თავმჯდომარეებს, მხარში ამოვუდგეთ მათ.

როგორ?

სულ უბრალოდ, წარმოიდგინე, რომ შენ ხარ რაზმის საბჭოს თავმჯდომარე. რას გააკეთებდი, რას წამოიწყებდი, რა საკითხებს მიაქცევდი მეტ ყურადღებას? როგორ შეადგენდი სამუშაო გეგმას? ვის ჩააბამდი მის შესრულებაში, აქტივისტებს თუ პასიურებს? როგორ ამოქმედებდი ამხანაგებს, რითი დააინტერესებდი? შენ ხომ თვითონვე ამჩნევ, როგორ გამოაცოცხლა საკავშირო პიონერული მარშის ახალმა პროგრამამ შენს რაზმეულში, რაზმში მუშაობა; მაგრამ ვერც იმაზე დახუჭავ თვალს, რომ ზოგი ბიჭი თუ გოგონა გაურბის პიონერულ საქმიანობას.

რატომ?

შენ რას მოიმოქმედებდი, რომ ყველა რიგითი პიონერი ხალისიანად ჩაბმულიყო პიონერულ მუშაობაში? ერთი სიტყვით, რას გააკეთებდი, რომ გაგემართლებინა ამხანაგების დიდი ნდობა?

...თქვენთან ერთად გადავავლოთ თვალი პიონერთა ორგანიზაციის მატიანის ფურცლებს.

...თავიდანვე ასე აეწყო.

ჯერ კიდევ 1923 წელს, როცა მოსკოვის მშრომელთა საპირველმაისო დემონსტრაციაში მხოლოდ 52 პიონერული რაზმი მონაწილეობდა, ნ. კ. კრუპსკაიამ გაზეთ „პიონერსკაია პრავდის" ფურცლებიდან ნორჩ ლენინელებს მიმართა, — რას აკეთებთ იმისათვის, რომ ცხოვრება უკეთესი გახდეს? მოზარდებს ბევრი რამის გაკეთება შეგიძლიათ, გულმოდგინე შრომითო. ასეთი სერიოზული, სახელმწიფოებრივი პოზიციიდან მიმდინარეობდა საუბარი პიონერებთან.

სიმღერასთან, კოცონთან, ზეიმებთან ერთად — მთავარი იყო და არის ერთად ყოფნის, ურთიერთგაგების გრძნობა, კოლექტიური შრომა, და ისინიც, პირველი პიონერები კურად იღებდნენ თავიანთი, დიდი მეგობრის — ნადეჟდა კონსტანტინეს ასულ კრუპსკაიას რჩევას.

...შემდეგ 20-იანი წლების ტრადიცია 30-იანი წლების პიონერებმა განაგრძეს. სწორედ იმ წლებში წითელი ყელსახვევის გვერდით მკერდზე ლენინის ორდენი უბრწყინავდა მამლაქათ ნახანგოვას. რაზმში პიონერები სწავლობდნენ ვოროშილოველისებურ სროლას, ეცნობოდნენ მფრინავობაზე, ქმნიდნენ თემურელთა რაზმებს, — აი ასე ცდილობდნენ ისინი ფეხი აეწყოთ ქვეყნის ნაბიჯებისათვის. — აკი დიდი სამამულო ომის პერიოდში პიონერებმა მტრის ზურგში, ფრონტზე მამაცობით გაითქვეს სახელი; ტყეებში, პარტიზანულ რაზმებში მოქმედებდნენ ნორჩ შურისმაძიებელთა პიონერული ჯგუფები. ზურგში მცხოვრები პიონერების მიერ შეგროვილი თანხით აგებული ათობით სატანკო კოლონა თუ თვითმფრინავი იბრძოდა სამამულო ომის ფრონტზე.

სწორედ იმ მძიმე წლებში პიონერებმა პირველებმა წამოიწყეს ფრონტზე მყოფებისათვის თბილი ტანსაცმლის შეგროვება, ჰოსპიტლების მომარაგება სამკურნალო მცენარეებით; შეკვალეს მამები ტრაქტორზე თუ ქარხნის დაზგასთან, მათგან მიიღეს ესტაფეტა 50-იანი, 60-იანი, 70-იანი, 80-იანი წლების პიონერებმა. დღეს კი ესტაფე-

ტა შენი და შენი თანატოლების ხელშია.

რაზმში ბევრი ბავშვია. რაზმი ძლიერია რგოლების სიძლიერითა და სიმტკიცით, რაზმის სიძლიერით კი მთელი რაზმეულია ძლიერი. ამიტომ რაზმის საბჭოსა და მისი თავმჯდომარის მთავარი საზრუნავია მის რგოლებში გაერთიანებულ ბავშვებს აერთიანებდეს მეგობრობა. მივცეთ მათ გაკვეთილების შემდეგ ერთად ყოფნის შესაძლებლობა. ყველა ემორჩილება დისციპლინას, პირველ რიგში რგოლის დისციპლინას. ასე რომ, ეცადეთ რგოლი არ იყოს მოწყვეტილი საერთო საქმეებს, რაზმის დავალებებს, სხვაგვარად, მარშში წარმატებას ვერ მიაღწევთ! ეს აუცილებელია სწორედ ლღეს, როცა რაზმეული საკავშირო მარშის მარშრუტებით მიაბიჯებს. სწორედ ამ დროს გაირკვევა ხოლმე, როგორ შეუძლიათ რაზმის წევრებს გაუზიარონ ერთმანეთს ცოდნა, გაუნაწილონ სხვას ის, რაც თვითონ აქვთ. აბა რა სასიამოვნოა, როცა მეგობრების წრეში ეგოისტი იზრდება, — არ შეუძლია სხვისი წარმატებით გაიხაროს, შურს მისი, ცდილობს კი არ დაეხმაროს, არამედ ხელი შეუშალოს: ასეთი განწყობილება შეიძლება სხვასაც გადაეცეს. ამ დროს რაზმის საბჭო დაუყოვნებლივ უნდა იხილავდეს წყენისა თუ ჩხუბის მიზეზებს, მთავარია პიონერებს სწორად ესმოდეთ, რას ნიშნავს იყო თავდადებული საერთო საქმისათვის, მთელი თქვენი მოქმედების პრინციპი უნდა იყოს: მიაღწიე წარმატებას — დაეხმარე ამხანაგებს!

სექტემბერში, მარშის პროგრამის გამოცხადებისთანავე, პიონერული აქტივის სკოლის პირველ მეცადინეობაზე თქვენ ალბათ უკვე განსაზღვრეთ თითოეული პიონერის, რგოლის, შემდეგ მთელი რაზმის მონაწილეობა პიონერულ მუშაობაში, იმსჯელეთ პიონერის მთავარი საშრომ-საზრუნავის — სწავლისადმი მათს დამოკიდებულებაზე, იკამათეთ პიონერული შეკრებების მომზადება-მოწყობაზე.

ნოემბერში, როცა დეკემბრის დიდი ზეიმია მოახლოებული, რაზმის ინტერნაციონალურ მუშაობას გადახედეთ, გაანაწილეთ დავალებები რგოლებსა და პიონერებს შორის, დააწესეთ კონტროლი მათ შესრულებაზე, დეკემბერში აღნიშნეთ მთელი საბჭოთა ხალხისათვის საზეიმო თარიღი — სსრ კავშირის 60 წლისთავი, ამასთან დაკავშირებით იმსჯელეთ, თუ როგორ ასრულებს თითოეული თქვენგანი პიონერთა კანონებსა და საზეიმო დაპირებას. აკი საკავშირო მარშის მთავარი მოთხოვნაა: რაზმი იძლევა პიონერულ სიტყვას — სიტყვის ერთგულება საქმით დაამტკიცე!

იანვარში, აქტივის სკოლის მეცადინეობაზე ორი პრინციპული საკითხი დგება, თითოეული პიონერი იბრძვის „მშთ" კომპლექსის ნორმების ჩასაბარებლად, პიონერთა სამხედრო-სპორტულ თამაშ „ცისკრის" შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად.

აქტივის სკოლის თებერვლის შეკრებაზე გამართეთ დიალოგები „წიგნი — შენი მეგობარი", „თითოეულ პიონერს — საოჯახო ბიბლიოთეკა". პრაქტიკული მეცადინეობა მიუძღვენით პიონერულ გაზეთებში გამოქვეყნებული, რადიოთი და ტელევიზიით გადაცემული მასალების მიმოხილვას.

მარტში ანგარიშგება-არჩევნებისათვის შეემზადეთ...

აპრილში პიონერული მატიანის ფურცლებს გადახედეთ, აქტიური მონაწილეობა მიიღეთ რაზმის, რაზმეულის შრომით საქმეებში.

მაისში პიონერული აქტივის სკოლის შეკრებაზე რაზმის საბჭოებმა ერთად გადაწყვიტეთ, რა დავალებას აძლევთ თითოეულ პიონერს საზაფხულოდ, რასაკვირველია, ნორჩ ლენინელთა საკავშირო მარშის მარშრუტების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ყველა ამ საქმეში რაზმის საბჭოს თავმჯდომარე მარტო ვერაფერს გახდება, თითოეულმა პიონერმა უნდა გაინაწილოს დავალება, მხარში ამოუდგეს მის მიერ არჩეულ რაზმის მეთაურს.

ჟურნალის ამ ნომრის მიღებისთანავე თითოეულ პიონერს ერთი დავალების შესრულებას ვთხოვთ: აიღე სუფთა ფურცელი, დაწერე სათაური: „მე რომ რაზმის საბჭოს თავმჯდომარე, ვიყო..." და შეუდექი წერას — შენ რომ რაზმის საბჭოს თავმჯდომარე იყო საკავშირო მარშის მიხედვით, როგორ წარმართავდი მუშაობას? რას გააკეთებდი, რას ჩათვლიდი პიონერული აქტივისტის უპირველეს საზრუნავად?

ველით შენს გამოხმაურებას.

ჩვენი მისამართია: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ჟურნალ „პიონერის" რედაქცია: „კოცონი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საინტერესო სიახლენი

### მოსახვევი წრე ავტომობილებისათვის

ახალი ზელანდიის ქალაქ ველინგტონში ბევრი ვიწრო ჩიხი და შესახვევია, სადაც შეუძლებელია ავტომანქანის მოტრიალება. ეს რთული პრობლემა ამას წინათ აქ ასე გადაწყვიტეს: ჩიხებში, ქვაფენილის სისწორეზე, ღილაკით სამართავი მოსატრიალებელი მაგიდები დააყენეს. მძღოლი მანქანას მაგიდაზე აჩერებს და კაბინიდან გამოუსვლელად თითს აჭერს სამართავ ღილაკს. მაგიდა ავტომობილიანად ას ორმოცი გრადუსით შემობრუნდება და ავტომატურად გამოითიშება. მანქანა კი არხეინად გამოდის ჩიხიდან.

### მზის ტელეფონები

იორდანიის გზებზე 80-ზე მეტი რადიოტელეფონია დაყენებული საავტომობილო ავარიის შემთხვევისას სპეცსამსახურის გამოსაძახებლად. ეს მოწყობილობები მზის ენერგიით მუშაობს.

თითოეული სატელეფონო ჯიხურის თავზე დადგმულია აკუმულატორებთან შეერთებული მზის ბატარეები. ტელეფონს აქვს სამი ღილაკი „სასწრაფო დახმარების", მილიციისა და ტექნიკური მაშველის გამოსაძახებლად.

### მეხანძრეები ჰაერში

მაღალ შენობათა ზედა სართულებში, სადამდეც ყველაზე გრძელი სახანძრო კიბეც კი ვერ სწვდება, ძალზე ძნელია ხანძართან ბრძოლა. მაგრამ აი, ამერიკულმა ფირმა „მაკდონალდ დუგლასმა" დაამზადა მოწყობილობა „მფრინავი სახანძრო რაზმი" — ვერტმფრენიდან ჩამოშვებული ბაქანი, რომელზედაც ყველა ხანძარსაწინააღმდეგო იარაღია მოთავსებული. რაც უნდა ძლიერი ქარი ქროდეს, ბაქანი მაინც ურყევია. იგი უფრო მეტად ზედა სართულებიდან ხალხის ევაკუაციისათვის არის განკუთვნილი.






განყოფილებას
ხელმძღვანელობს
საქართველოს სსრ
დამსახურებული მწვრთნელი
შოთა ინწკირველი

გასულ ზაფხულს სოფელ ატენში ჩატარდა თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის სპორტული განყოფილების საწვრთნელ-გამაჯანსაღებელი შეკრება (ხელმძღვანელი ჯ. ჯანაშია). თეორიული მეცადინეობის გარდა ჩატარდა ორი ჩემპიონატი — დიდი და მცირე.

თავდაპირველად გავეცნოთ ერთ-ერთ საკონსულტაციო პარტიას. მონაწილეობენ ძირითადად 7-8-9 წლის ასაკის მესამეთანრიგოსნები.

## სიცილიური დაცვა

თეთრებით: ინწკირველი (პედაგოგი), იგრიაშვილი, იაშვილი, ძიგუა, კვარაცხელია, უთმელიძე, ხოსრუაშვილი, ბაბტაძე, კურცხალია, ჩაჩანაშვილი, შიმშილაშვილი, ო. მაისურაძე, თოლორაია და ცქიტიშვილი.

შავებით: მგალობლიშვილი

ატენი, 1982 წელი, ივნისი.

1. e4 c5 2. მc3 მc6 3. g3 g6 4. კg2 კg7 5. d3 e6 6. კe3 b6

უზუსტობა. თამაშობენ 6. ... d6. ახლა თეთრები დაუბრკოლებლად ხსნიან „d“ ვერტიკალს, რის შემდეგ ხელშესახები გახდება შავი უჯრების სისუსტე (გამოწვეული კუს ფიანკეტირებით). პირველ რიგში „d6“ უჯრისა.

7. მge2 კb7

თუ 7. ... მd4, მაშინ 8. e5

8. d4 cd 9. მ×d4 ეb8

სჯობდა 9. ... a6

10. მdb5 მge7 11. მd6 მფf8 12. 0—0 მc8 13. მcb5 კ×b2 14. c3

მსხვერპლის გაღებით ქრონიკულად სუსტდება შავი უჯრები („შეწირვა ბლოკადისათვის“ — ნიმცოვიჩი). შავების პოზიცია სტრატეგიულად წაგებულია.

14. ... მ×d6

თუ 14. ... a6, მაშინ 15. ეb1

15. კh6 მფg8 16. ლ×d6 კ×a1 17. ე×a1 ლe7 18. e5

ლაზიერების გაცვლის მიუხედავად, შავები გარემოცვისაგან (ბლოკადა) თავს ვერ დააღწევენ.

18. ... ლ×d6 19. მ×d6 კa6 20. კ×c6 dc 21. c4

თეთრები ამზადებენ ტაქტიკურ დარტყმას. საყურადღებოა მყისვე 21. ეd1

21. ... ეd8 22. ეd1 (ან 22. ეe1 f5 23. ეe3) კ×c4 23. ეd4 კ×a2

თუ 23. ... კd5, მაშინ 24. ეf4 ეd7 (24. ... f5 25. ef e5 26. f7 კ×f7 27. ე×f7) 25. მe8



24. მe4! შავები დანებდნენ.

იმავე დღეს გათამაშდა პოზიცია 22-ე სვლიდან: 22. ეe1 b5 23. cbკ×b5 24. ეb1 a6 25. a4 კ×a4 26. ეb7

შავები დანებდნენ. დასკვნითი პოზიციაც სასწავლოა.

ახლა ვნახოთ ჩემპიონატში გათამაშებული პარტია და დაბოლოებები.

## ალიოხინის დაცვა

ა. იაშვილი
(მესამეთანრიგოსანი, 10 წლის)
ო. მაისურაძე
(მესამეთანრიგოსანი, 9 წლის)
ატენი, 1982 წელი, ივლისი.

1. e4 მf6 2. e5 მd5 3. d4 d6 4. c4 მb6 5. f4 e6?

საჭიროა 5. ... de6 fe მc6 ცენტრზე დაწოლით.

6. მc3 f6? 7. მf3 მ8d7 8. ლe2 de 9. fe g6 10. ef მ×f6 11. მg5 ლe7 12. კf4 h6 13. მf3 კg7?

ეს კი მყისვე აგებს.

14. მb5 მფf7 15. მ×c7 ეb8 16. c5!

მისასალმებელია, რომ ნორჩი მოჭადრაკე არ აჰყვა ხარისხის მოგების ცდუნებას.

16. ... მd7 17. კd6

შავები დანებდნენ.

აკაკი იაშვილმა ენერგიულად გამოიყენა მოწინააღმდეგის სუსტი თამაში.

ნიჭიერი ოთარ მაისურაძისათვის დამახასიათებელია ნაუცბათევი გადაწყვეტილებების მიღება.

შემდეგი ფინალი გათამაშდა 16 ივლისს. შავებითაა მესამეთანრიგოსანი, 9 წლის დათო ცქიტიშვილი.

ცქიტიშვილი



ო. მაისურაძე

თეთრების უკანასკნელი სვლა იყო 18. f2—f4? ნორჩი მოჭადრაკე შესანიშნავად სარგებლობს „g1—a7 დიაგონალის“ დასუსტებით.

18. ... მg4!

შეიქმნა „დაბშული შამათის“ მუქარა.

19. მh1? (აჩქარებს წაგებას, სჯობდა 19. h3)

19. ... ლb6 20. მფf1 კ×g5 21. ლ×g5 მ×h2 22. მფe2 ეe8 და შავებმა მოიგეს.

ქვემოთ მოყვანილი პოზიცია კი მცირე ჩემპიონატიდანაა. თეთრებითაა მეოთხეთანრიგოსანი, 8 წლის ვანო მაისურაძე (71-ე საშუალო სკოლა).

პატარა ვანომ მშვენივრად გამოიყენა შავი მეფის შებოჭილობა და ლაზიერის გადატვირთვა (მოტივებია).

ქავხიშვილი



ვ. მაისურაძე

1. ლe8! და შავები დანებდნენ.

ახლა — დავალება. თეთრებითაა მესამეთანრიგოსანი, 9 წლის ლელა ძიგუა.

თავაძე



ძიგუა

ამ პოზიციაში ლელამ განახორციელა მშვენიერი ორსვლიანი საშამათო ოპერაცია.

ველით თქვენს პასუხს.

„პიონერის“ ბოლო ნომრებში გამოქვეყნებული პოზიციების გადაწყვეტაა: 1. ... ეd5! (1981, № 9), 1. ... ლh3! (1981, № 11), 28. ე×b6! (1982, № 2).

სწორი პასუხები გამოგზავნეს: თ. შონიამ (ბიჭვინთა), ს. ხუციშვილმა (გორი), დ. გოდერძიშვილმა (ქუთაისი), ვ. ალიბეგაშვილმა, ვ. ცერცვაძემ (ცხეთა), ა. გელაშვილმა, მ. შავგულიძემ, გ. კემულარიამ, ე. და ი. ნიკოლაიშვილებმა, ა. და ბ. თვალიაშვილებმა, დ. როგავამ, გ. ნეფარიშვილმა, გ. მუმლაძემ (თბილისი), ლ. პატარავამ (მახარაძის რ-ნი, ქვედა ბახვი), კ. ივანოვმა (ჭიათურა), ქ. ღარიბაშვილმა (გურჯაანის რ-ნი, ვაზისუბანი), გ. თათრიშვილმა (გორის რ-ნი, ქვახვრელი), მ. გოგუამ (ჩხოროწყუ), კ. ფანიაშვილმა, ზ. ოსიაშვილმა (რუსთავი), მ. და მ. აბულაძეებმა (აბასთუმანი).



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ყვავილის
ქაღალდი

ქაღალდის ყვავილები ყველასთვის ცნობილია, მაგრამ თუ რა არის „ყვავილის ქაღალდი". ეს უკვე განმარტებას საჭიროებს. ამ ქაღალდს ინდოეთში ამზადებენ წყლის სუმბულისაგან.

წყლის სუმბული — წყლის სარეველა — ნამდვილი უბედურებაა საწყლოსნო მიმოსვლისათვის. იგი გასული საუკუნის მიწურულს სამხრეთ ამერიკიდან მთელ მსოფლიოში გავრცელდა. მრავალი ათეული წელიწადია. მეცნიერები მასთან ბრძოლის საშუალებებს ეძებენ. წყლის სუმბულს ზოგან პირუტყვის საკვებად იყენებენ. ახლახან კი მისგან ქაღალდი მიიღეს. ასე რომ. „მავნე" სარეველა კი არ უნდა მოვსპოთ. არამედ ხალხის სამსახურში ჩავაყენოთ.

მზის
თეოდოლიტი

სანტა მარია დელ ფორეს ტაძარი ფლორენციის (იტალია) მშვენებაა. იგი 1420 წელს არის აშენებული. ადგილი, სადაც ტაძარია აღმართული. ჭაობიანია. რის გამოც არსებობდა შენობის სიმძიმისაგან ნიადაგის დაწევის საშიშროება. ამიტომ ხუროთმოძღვარს განსაკუთრებით საძირკველზე უზრუნია. ნაგებობის სიმყარის შესამოწმებლად კი მარტივი, მაგრამ მეტად ეფექტური მოწყობილობა გამოუგონებია: რვაწახნაგა გუმბათს დაუტანა ერთი ვიწრო ჭუჭრუტანა. საიდანაც მხოლოდ ნემსივით წვრილი შუქის კონა შემოდის: საკურთხევლის ძირში მიმაგრებულია ლითონის ფირფიტა. რომლის ცენტრს ეს კონა წელიწადში მხოლოდ ერთ დღეს — 21 ივნისს ეცემა. თუ ამ დღეს კონა თავის სამიზნეს ასცდა. ეს ნიშნავს. რომ შენობა გვერდზე გადახრილა და საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება. მაგრამ აგერ უკვე 560 წელიწადია. ტაძარი „გაქვავებულივით" დგას. რასაც მოწმობს მისი შეუმცდარი მზის თეოდოლიტი. ისე კი, ძველი ხუროთმოძღვრის სიფრთხილე მაინც ძალაში რჩება. ამიტომაც ამ . ბოლო წლებში გარკვეული ღონისძიება გატარდა. ამჟამად ტაძრის არემარეზე. მაგალითად. ტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია.




ქვის
„წითელი წიგნი"

ბირმელებს შეუძლიათ იტრაბახონ მსოფლიოში ლამის ყველაზე ძველი კანონმდებლობით ბუნების დაცვის შესახებ. ბუნების დაცვის კანონები ჯერ კიდევ XII საუკუნის დამდეგს გამოსცა ბირმის იმდროინდელმა მეფემ ალაუნსიტსუმ. ჩვეულებრივ. „წითელ წიგნში" ჩამოთვლილია ხოლმე ცხოველთა და მცენარეთა ის სახეობები, რომელთაც გადაშენების საფრთხე ემუქრებათ. ძველ ბირმელებს თავიანთი „წითელი წიგნი" ჰქონდათ. ეს არის პატარა ქალაქ სალეს შუაგულში დადგმული ქვის სვეტი შემდეგი წარწერით: „მე, ქვეყნის ყოვლად ძლიერი მპყრობელი და სარწმუნოების მფარველი, ვბრძანებ: დასჯილი იქნას ყველა. ვინც აქ დაფუძვნებული ნაკრძალის ნადირსა და ფრინველს ზიანს მიაყენებს".

ბირმაში დღესაც იცავენ მეფე-ეკოლოგის



მიერ დადგენილ წესებს. ამ ქვეყნაში 20-მდე ნაკრძალია. ხოლო რესპუბლიკის ცენტრალურ ნაწილში ბირმის პირველი ეროვნული პარკი შენდება.

მაინც სჯერათ

ამერიკული ექსპედიცია. რომელიც კონგოში ცოცხალ დინოზავრს ეძებდა. ამას წინათ შინ ხელცარიელი დაბრუნდა. და მაინც. ექსპედიციის წევრები დარწმუნებული არიან. რომ დინოზავრი — „ცოცხალი ნამარხი" — ნამდვილად არსებობს. სადღაც აფრიკის ჭაობებში.

„მომაკვდინებელი „მექანიზმი"

არის შემთხვევები, როცა ანტილოპა გნუს მრავალათასიანი ფარები ერთდებიან და კოლექტიურად თავს იკლავენ — ბობოქარ მდინარეში ცვივიან. რა უბიძგებს ამ ცხოველს თვითმკვლელობისაკენ?

ცნობილმა ზოოლოგმა ბერნჰარდ გრჟიმეკმა ექსპედიცია მოაწყო სამხრეთ კენიაში. რომ ადგილზე შეესწავლა გნუს ტრაგედიის მიზეზი. აი, რას ამბობს გრჟიმეკი:

„როცა გნუს სიმრავლე განსაზღვრულ დონეს აღწევს, ჩაირთვება რომელიღაც ბუნებრივი მექანიზმი. ეს მექანიზმი ცხოველთა რაოდენობას ამცირებს". ექსპედიციის მიზანია გამოარკვიოს, რა მექანიზმია ეს და, როგორ „ჩაირთვება" ხოლმე იგი.







სამეურნეო საქონლის მაღაზიებში იყიდება ქვაბების თავსახურავების დასაწყობი, სამზარეულოს კედელზე ჩამოსაკიდი პირამიდა. სულ რაღაც კაპიკები ღირს, შენი სახელოსნო კუთხისათვის კი პირდაპირ მისწრება იქნება. აბა დახედე, რა მშვენივრად შეიძლება ზედ ხელსაწყოების განლაგება. ჩაქუჩი, ქლიბი, სახრახნი თუ სხვა რამ მუდამ თვალწინ გექნება.

ბეწვახერხის პირი შეგიძლია ხის ტარში ჩასვა და თხელი მასალის გადასაჭრელად დანასავით იხმარო.

საბაღე სახლის სახურავის ტოლით გადახურვისას ერთი პრობლემა მუდამ გადასაწყვეტია — როგორ შეივსოს ტოლებს შორის დარჩენილი ადგილები, ანუ რით შეერთდეს ტოლის ფენილები. საამისოდ შეგიძლია ცხელი უთო გამოიყენო: იგი ტოლის ზედა და ქვედა ფენის ბიტუმს გაალხობს და ფენილები ერთმანეთს შეეწებება.

აივნისათვის საყვავილე ყუთების გაკეთებისას ფიცრების ჩვეულებრივად ერთმანეთზე ლურსმნებით მიჭედება არ ივარგებს. საამისოდ ოთხნასვრეტიანი კუთხური ლითონი უნდა იხმარო, ოღონდ — შიგნიდან.

სადურგლო სამუშაოების დროს ასეთი მარტივი „ფიცრის ჩასაკეტი" ძალიან მოგეხმარება ფიცრების ზუსტად გადასაჭრელად.





# სარჩევი

ეროვნული ბიბლიოთეკა


სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვა კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს . გარეკ. 2
საინფორმაციო ცნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ . 2
იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი . . . 3
ცაგარელი თ. — ნოჯიხეველი შრომისმოყვარენი (ნარკვევი) . . . 4
მარკოზაშვილი შ. — სულ პირველად (წერილი) . . . 7
გეწაძე ა. — ღრუბლების მომშინაურებელი (მოთხრობა) . . . 8
ჭუმბურიძე ზ. — ივერონი (წერილი) . . . 12
გელაშვილი მ. — თუშეთი დღეის და ხვალის (ნარკვევი) . . . 16
ნიკოლეიშვილი ვ. — ყაყაჩო (ლექსი) . . . 18
თანიაშვილი მ. — სოფელში (ლექსი) . . . 18
ჯანჩევი ვ. — უკვდავების გაკვეთილი (ბალადა) . . . 19
ჩვენი სტუმარია ბელორუსიის სსრ საბავშვო ჟურნალი „ბიაროზკა" . . . 20
ლუიკი ჰ. — იპსილონი (მოთხრობა) . . . 23
აისი . . . 26
კოცონი . . . 28
საინტერესო სიახლენი . . . 29
მხედრიონი . . . 30
ჯადოსნური სარკე . . . 31
გამოგადგება . . . 32
ცხრაკლიტული . . . გარეკ. 3 გვ.


გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა ელისო ცაბაძისა.


მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ნუგზარ აფხაზავა, ზურაბ ხოცმაძე, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, რობერტ ლარიბაშვილი, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი (პ/მგ. მდივანი), ლიანა შეწირული, ზურაბ წვერიკმაზაშვილი, ზურაბ ჭუმბურიძე.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, ლენინის ქ. № 14.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-31-81, პ. მგ. მდივნის—93-97-08, 93-53-05, განყოფილებების—93-97-02, 93-97-01. გადაეცა ასაწყობად 20. 9. 82 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 9. 12. 82 წ., ქაღალდის ფორმატი 60X39 $^1/_3$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35, შეკვ. 2242 ტირ. 150.000 ეგზ. უე 14177

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников.
Выходит один раз в месяц на грузинском языке.
Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Формат $60\times90^1/_3$, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35.
Тираж 150 000 экз. Цена 20 коп.


© „პიონერი", 1982 წ.

## კროსვორდი

თარაზულად: 1. წვრილი ცოცხალმშობი თევზი; 4. ცხენის დაჭედვის ოსტატი; 6. არგენტინელი ფეხბურთელი; 8. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 10. თვალის ფერადი გარსი; 12. ყაჩაღი ანუ?; 14. გარეული ცხოველი; 17. ხეხილი; 18. სოფელი ქარელის რაიონში; 20. სულხან-საბა ორბელიანის მშობლიური სოფელი; 21. კურორტი საქართველოში; 23. სახელმწიფო აზიაში; 26. ნ. ბარათაშვილის ლექსი; 27. მდინარე საბჭოთა კავშირში; 28. თბილისის „დინამოს" ფეხბურთელი; 30. დრამატული ნაწარმოები; 31. მდინარე საქართველოში; 34. სახელმწიფო ევროპაში; 35. მდინარე აფრიკაში; 38. სახელმწიფო აზიაში; 40. ძველი თბილისის ერთ-ერთი უბანი; 42. ერთ-ერთი უდიდესი სტადიონი მსოფლიოში; 43. ციხესიმაგრე საფრანგეთში; 44. პირველი რევოლუციური რუსული გაზეთი.

შვეულად: 2. სიმებიანი საკრავი; 3. მთიანი მხარე საბჭოთა კავშირში; 4. ზოგ მუსულმანურ ქვეყანაში რომელიმე უფროსის ან სასულიერო პირის მოადგილე; 5. ბრაზილიელი ფეხბურთელი; 7. სპორტის სახეობა; 9. ქალაქი საფრანგეთში; 11. თვალების უნებლიე ხშირი ხამხამი; 13. დარაჯი ანუ?; 15. პირინეის ნახევარკუნძულის ძველი სახელწოდება; 16. სულის ხუთვა ჟანგბადის ნაკლებობის გამო; 17. ყვავილი; 19. ჭიდაობის ხერხი ანუ?; 22. თევზის საჭერი მოწყობილობა; 24. ტკბილეული; 25. მდინარე საქართველოში; 28. სახელმწიფო მოლვაწე ამერიკაში მეორე მსოფლიო ომის დროს; 29. გარეული ცხოველი; 32. ქალაქი შვეიცარიაში; 33. ბრონქების დაავადება; 36. პირველი ქართველი ქრისტიანი მეფე; 37. სოფელი თეთრიწყაროს რაიონში; 39. ხე-მცენარე; 41. ოლქი დასავლეთ გერმანიაში.



დავით ქისიშვილი,
გორის მე-9 საშუალო
სკოლა, V კლასი.



## გამოცანები

მაღალ მთიდან მოდის და
გზა-გზა ბილიკს ხრეშავს.
ბარში ძუძუს აწოვებს
უზარმაზარ ვეშაპს.

ერთ ურჩხულს
სამი თვალი აქვს —
სხვადასხვა ფერის
თითო.
ნაბიჯს არ
მოგაცვლევინებს,
თუ არ ინება
თვითონ.

გ. რუსაიძე

ხბაღუღუნა ფრინველია,
თვინიერი, მიმნდობი.
ყველა ვესიყვარულებით. —
სიმბოლოა მშვიდობის.

ზღვის შვილი დედას
გაურბის,
ფრთებს ლაღად გაშლის
ცაზედა,
ბევრჯერ სიკეთეს
გვითესავს,
ზოგჯერ ავია ავზედა.

ერთი პატარა სახლია,
შიგ ცხოვრობს ბევრი
მშრომელი,
მათ გარჯის ნაყოფს
ადიდებს
ქალაქიცა და სოფელიც.
რა ჰქვია იმ სახლს,
თუ იცით, —
პასუხს ერთ წუთში მოველი.

ალ. ნამორაძე

## პირველი და მეორე

ერთ პატარა ქალაქში ცხოვრობდა ორი უცნაური ტყუპისცალი: პირველი და მეორე. აი, რატომ იყვნენ ისინი უცნაურნი: პირველს არ შეეძლო სიმართლის თქმა ორშაბათობით, სამშაბათობით და ოთხშაბათობით, სხვა დღეებში იგი სულ სიმართლეს ლაპარაკობდა. მეორე — სულ ტყუილებს ამბობდა სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით, ხოლო სხვა დღეებში ტყუილს ვერ ათქმევინებდი.

ერთ დღეს ერთ მათგანს სახელი ჰკითხეს.

— პირველი! — მიუგო მან.

— რა დღეა დღეს?

— გუშინ კვირა იყო.

— ხვალ კი ხუთშაბათი იქნება, — დაუმატა მისმა ძმამ.

— კი მაგრამ... შენ გჯერა, რომ სიმართლეს ამბობ?

— მე სიმართლეს მხოლოდ ოთხშაბათობით ვამბობ.

ამ დიალოგის მიხედვით შენ შეგიძლია დაადგინო: ტყუპი ძმებიდან რომელი იყო პირველი და რომელი — მეორე; მიხვდები იმასაც, რა დღეს შედგა ეს საუბარი.

## როგორ მოვახერხოთ!

მაგიდაზე ერთ მწკრივად აწყვია ექვსი ჭიქა; პირველ სამ ჭიქაში წყალია, დანარჩენი სამი ჭიქა კი ცარიელია. როგორ მოვახერხოთ, რომ წყალი პირველ ჭიქაში იყოს, მეორეში — არა, მესამეში იყოს, მეოთხეში — არა, მეხუთეში იყოს, მეექვსეში — არა (ხელი მხოლოდ ერთ ჭიქას უნდა მოჰკიდო).

## ამოცანა

ერთი ქალაქიდან სხვადასხვა დროს გავიდა ორი მგზავრი. — ქვეითი და ცხენოსანი. ქვეითად მიმავალი 5 კმ-ს გადიოდა საათში. ცხენოსანი 8 საათის შემდეგ გაუდგა გზას.

რა სიჩქარით უნდა ევლო ცხენოსანს საათში, რომ ქვეითად მიმავალ მგზავრს დასწეოდა?

**პასუხი 1982 წ. № 10-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე"**

გამოცანები

ოცნება, ვულკანი, სარკე.

შარადები

ფური, შხელდა.

ინდექსი 76157
ფასი 20 კაპ.

ელექტრონული ბიბლიოთეკა



თუშეთი, ჩვენი თუშეთი,

ფოტო ზაზა შავქიანიძისა

